ლიბერთი
ბანკი ყველგან და ყველასთვის

# კრედიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

დამტკიცებულია სს „ლიბერთი ბანკის“ დირექტორთა
საბჭოს 2013 წლის 02 დეკემბრის #197 სხდომის ოქმით / ბოლო ცვლილებები განხორციელებულია
დირექტორთა საბჭოს 2018 წლის 28 დეკემბრის #400 სხდომის ოქმით (აღნიშნული პირობები წარმოადგენს „ელექტრონული არხების
საშუალებით მიღებული კრედიტის/ოვერდრაფტის/საგანგებო ავასის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების“ უფლებამონაცვლეს)

# შინაარსი

1. ტერმინთა განმარტებები ..... 3
2. განცხადებები და გარანტიები ..... 5
3. კრედიტით სარგებლობის დაწყება ..... 5
4. კრედიტით სარგებლობის და დაფარვის წესი ..... 6
5. კრედიტის პროლონგირება / თანხის შეცვლა ..... 7
6. მონიტორინგი და ვალდებულებების უზრუნველყოფა ..... 8
7. ხელშეკრულების ცვლილების წესი ..... 9
8. კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებები ..... 9
9. მხარეთა პასუხისმგებლობა ..... 9
10. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა ..... 10
11. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა ..... 11
12. ბანკში პრეტენზიის წარდგენის წესი ..... 11
13. კომუნიკაცია ..... 11
14. კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია ..... 11
15. მსესხებლების სიმრავლე ..... 13
16. დასკვნითი დებულებები ..... 14
17. №1 დანართი – მომსახურების ტარიფები[1] ..... 15
18. №2 დანართი - ინფორმაციის მოპოვება/გადაცემა მესამე პირებისგან/პირებისათვის ..... 18

## 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. **ბანკი** - სს „ლიბერთი ბანკი" (ს/კ 203828304), რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;

1.1.2. **ანგარიში - ბანკში** არსებული **მსესხებლის** საბანკო ანგარიშ(ებ)ი, მათ შორის საბარათე ანგარიში, **მომსახურე ანგარიში** და სხვა;

1.1.3. **ბანკომატი – ბანკის** თვითმომსახურების ელექტრონული მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც **მსესხებელს**, შეუძლია **ხელშეკრულებით** განსაზღვრული რიგი საკრედიტო პროდუქტების გააქტიურება, **ანგარიშიდან** ნაღდი ფულის გამოტანა, თანხის გადარიცხვა, **ანგარიშზე** არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, გადახდების განხორციელება და სხვა **ბანკის** მიერ ამ არხისათვის დაშვებული ოპერაციების ჩატარება;

1.1.4. **განაცხადი - ბანკის** მიერ მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის, ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებ(ებ)ის, მათ შორის **მომსახურების ობიექტების** ან/და **ელექტრონული არხების** (ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი, USSD მენიუ და სხვა), გამოყენებით შექმნილი და **მსესხებლისათვის** მიწოდებული წერილობითი ან ციფრული ინფორმაცია, რომელსაც ეთანხმება **მსესხებელი** ქმედებით (მაგ. ღილაკზე დაჭერით, მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) მიღებით/გაგზავნით, დოკუმენტის გაგზავნით, თანხის გადარიცხვით და ა.შ.) რაც ადასტურებს მის (**მსესხებლის**) ნებას და ითვლება **მსესხებლის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების /ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ. **განაცხადი** თან ერთვის **ხელშეკრულებას** და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.1.5. **განცხადებები და გარანტიები - სტანდარტული პირობების** მე-2 მუხლში მოცემული **მსესხებლის** განცხადებები და გარანტიები;

1.1.6. **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება - ბანკსა** და **მსესხებელს** შორის გაფორმებული ჩარჩო გარიგება, რომელიც განსაზღვრავს **მსესხებლის** საკრედიტო პროდუქტებით, დოკუმენტური ოპერაციებით, სავალუტო ოპერაციებით ან/და სხვა საბანკო პროდუქტებით მომსახურების ძირითად და ზოგად პირობებს. **ბანკსა** და **მსესხებელს** შორის შეთანხმებისამებრ **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება** შეიძლება წარმოადგენდეს **ხელშეკრულების** ნაწილს და **შემადგენელი ხელშეკრულება** გაფორმდეს **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** პირობების გათვალისწინებით.

1.1.7. **გრაფიკი** - შესაბამისი **შემადგენელი ხელშეკრულების** დანართი (მატერიალური ან ელექტრონული ფორმით), რომლითაც **ბანკი** განსაზღვრავს **კრედიტის თანხის** ან/და **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელების** დაკავშირებული გადასახდელების გადახდის მოცულობას, პერიოდულობას ან/და სხვა პირობებს. გრაფიკი ასევე შეიძლება თან ერთვოდეს სხვა საბანკო პროდუქტის ხელშეკრულებას საჭიროებისამებრ;

1.1.8. **დაანგარიშების თარიღი** - ყოველი კალენდარული თვის 9 (ცხრა) რიცხვი, რომელშიც **მსესხებელს** წარმოეშობა **ოვერდრაფტზე** მიმდინარე დაანგარიშების თარიღამდე დარიცხული და გადაუხდელი **საპროცენტო სარგებლის** დაფარვის ვალდებულება;

1.1.9. **დანართი** - ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტები (მათ შორის და არამარტო **გრაფიკი**), რომელიც აზუსტებს, ცვლის ან/და წყვეტს **ხელშეკრულებას** ან/და მის პირობებს და წარმოადგენს **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს;

1.1.10. **დაკავშირებული ხელშეკრულება - მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების უზრუნველსაყოფად, **მხარეებს** შორის ან/და **მხარეთა** მონაწილეობით **მესამე პირთან**, დადებული ხელშეკრულებ(ებ)ი, მათში შესული ცვლილებ(ებ)ისა და დამატებ(ებ)ის ჩათვლით (მათ შორის და არამარტო უზრუნველყოფის ხელშეკრულებები, დაზღვევის ხელშეკრულებ(ებ)ი, ასევე **ბანკის**, როგორც ბენეფიციარის, სასარგებლოდ გაცემული საბანკო გარანტია, აკრედიტივი და სხვა);

1.1.11. **დამატებითი პირობები - გენერალურ საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებაში** ან/და **შემადგენელ ხელშეკრულებაში** მითითებული და **მხარეთა** შორის შეთანხმებული: (ა) დამატებითი პირობები, რომელიც არ არის გათვალისწინებული **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით** ან/და **შემადგენელი ხელშეკრულებით** (მათ შორის წინამდებარე **სტანდარტული პირობებით**) ან/და (ბ) შეცვლილი პირობები, რომლითაც იცვლება და განსხვავებულად რეგულირდება **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** ან **შემადგენელი ხელშეკრულების** (მათ შორის **სტანდარტული პირობების**) კონკრეტული მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი;

1.1.12. **ელექტრონული არხი - ბანკის** მიერ განსაზღვრული მოწყობილობები, პროგრამული უზრუნველყოფები ან/და სხვადასხვა ელექტრონული არხები (მათ შორის და არამარტო **ბანკომატი, მობილური ტელეფონი, USSD მენიუ**, სწრაფი თვითმომსახურების აპარატი, ვებგვერდი ან/და სხვა ელექტრონული ხელსაწყო /პროგრამული უზრუნველყოფა), რომლის საშუალებითაც **მსესხებელს** ეძლევა საშუალება მიიღოს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მომსახურება (აიღოს **კრედიტი,** მათ შორის **საბანკო კრედიტი**, **საკრედიტო ხაზი**, **ოვერდრაფტი, საგანგებო ავანსი** და სხვა), წარადგინოს **განაცხადი,** დაეთანხმოს **ხელშეკრულების თავსართს,** ასევე აწარმოოს საბანკო ოპერაციები ან/და მიიღოს მის ანგარიშთან დაკავშირებული ინფორმაცია **ბანკში** მიუსვლელად;

1.1.13. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;

1.1.14. **კონფიდენციალური ინფორმაცია** - თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულების** დადების ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი **მხარის** მიერ მეორე **მხარის** შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/ დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია / დოკუმენტაცია **მხარის** პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, **მხარის** მფლობელი/მმართველი/ ურთიერთდაკავშირებული **პირის, მესამე პირთან** არსებული გარიგებ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ობიექტ(ებ)ის, ბიზნეს პროცესის/პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

1.1.15. **კრედიტი** (ან **სესხი**) - დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** გასაცემი თანხის მოცულობა, რომელიც **მსესხებლისთვის** ხელმისაწვდომი ხდება (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგი საბანკო საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობისას:

- (i) სახელფასო სესხი;
- (ii) მიკრო კრედიტი;
- (iii) ავტო სესხი (ავტო ლომბარდი, ავტო ლიზინგი და სხვა);
- (iv) **ლიბერთი ექსპრესი**;
- (v) **ლიბერთი ექსპრეს მინი;**
- (vi) **ლიბერთი ექსპრეს პლუსი;**
- (vii) **საგანგებო ავანსი** ან
- (viii) **საბანკო კრედიტი** (მათ შორის ინდექსირებული **საბანკო კრედიტი,** იპოთეკური **საბანკო კრედიტი** და ა.შ)
- (ix) **ოვერდრაფტი**;
- (x) **საკრედიტო ხაზი**;
- (xi) სამომხმარებლო განვადება;
- (xii) ოქროს ლომბარდი და სხვა.

1.1.16. **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელები** (ან **მასთან დაკავშირებული გადასახდელები**) - **საპროცენტო სარგებელი**, მომსახურების **საკომისიო**, გაცემის **საკომისიო**, ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტეხლო (ჯარიმა), ვადაგადაცილების **პირგასამტეხლო** ან/და **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი სხვა სახის **საკომისიო**, **პირგასამტეხლო** ან/და ხარჯი (მათ შორის და არამარტო სასამართლო დავასთან, სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები, ზიანის / ზარალის ანაზღაურების თანხები და სხვა);

1.1.17. **კრედიტის დეფოლტი** - **კრედიტის** სტატუსი, რომელიც წარმოიშობა **კრედიტის** უწყვეტ ვადაგადაცილებაში ყოფნის განსაზღვრულ კალენდარულ დღეს. **კრედიტის დეფოლტის** დადგომისას **ბანკი** ახორციელებს დეფოლტის ერთჯერადი **პირგასამტეხლოს** დარიცხვას (ასეთის არსებობისას) და წყვეტს **კრედიტის** თანხაზე სხვა ყველანაირი **საკომისიოს, საპროცენტო სარგებლის** და **პირგასამტეხლოს** დარიცხვას. **კრედიტის დეფოლტი** მოქმედებს მხოლოდ კონკრეტულ საკრედიტო პროდუქტებთან მიმართებაში და განისაზღვრება შესაბამისი **შემადგენელი ხელშეკრულებით**;

1.1.18. **მომსახურე ანგარიში** - **ბანკის** მიერ განსაზღვრული **ანგარიში**, რომელზეც განთავსებული ფულადი სახსრებით ხორციელდება ათვისებული **კრედიტის თანხის** ან/და **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელების** გადახდა;

1.1.19. **კრედიტის თანხა** - **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** ფარგლებში ან/და შესაბამისი **შემადგენელი ხელშეკრულების** საფუძველზე **მსესხებლის** მიერ **კრედიტის** სახით ათვისებული/მიღებული თანხები;

1.1.20. **ლიბერთი ექსპრესი** - **ბანკის** მოკლევადიანი საკრედიტო პროდუქტი (გარდა 2017 წლის 15 იანვრამდე მოქმედი ლიბერთი ექსპრესებისა, რომელთა ვადიანობა 12 თვით განისაზღვრება), რომლითაც **მსესხებელს** ეძლევა საშუალება დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ისარგებლოს **კრედიტის თანხით**;

1.1.21. **ლიბერთი ექსპრეს მინი - ბანკის** მოკლევადიანი საკრედიტო პროდუქტი, რომლითაც **მსესხებელს** ეძლევა საშუალება დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ისარგებლოს **კრედიტის თანხით**;

1.1.22. **ლიბერთი ექსპრეს პლუსი** - **ბანკის** გრძელვადიანი საკრედიტო პროდუქტი, რომლითაც **მსესხებელს** ეძლევა საშუალება დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ისარგებლოს **კრედიტის თანხით**;

1.1.23. **მესამე პირი** - ნებისმიერი **პირი**, რომელიც არ წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;

1.1.24. **მიზნობრიობა** - **შემადგენელი ხელშეკრულებით** განსაზღვრული ქმედება ან/და მიზანი, რომლის შესრულებასაც ემსახურება **კრედიტის თანხა** და რომლის შესრულების ვალდებულებაც იკისრა **მსესხებელმა**;

1.1.25. **მობილური ტელეფონი** - ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელში ჩართული ტელეფონი;

1.1.26. **მომსახურების ობიექტი** - **ბანკის** ფილიალი, სერვის ცენტრი, აგენტი ან **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფიზიკური ობიექტი, რომლის მეშვეობითაც

შესაძლებელია **ბანკში** მატერიალური **განაცხადის** წარდგენა და **ხელშეკრულების** დადება;

1.1.27. **მსესხებელი** - **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** და **შემადგენელი ხელშეკრულების** 1.2. პუნქტში მითითებული **პირი**, აგრეთვე არსებული ან/და სამომავლო მოვალე(ები), რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების მხარეს**;

1.1.28. **მხარე/მხარეები** - **ბანკი** ან/და **მსესხებელი** კონტექსტის შესაბამისად;

1.1.29. **ოვერდრაფტი** – დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე, **ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად, **მსესხებლის ანგარიშზე** (მათ შორის საბარათე ანგარიშზე) ხელმისაწვდომი სადებეტო ნაშთი - **კრედიტის თანხა**, რომლითაც არაერთჯერადად, სრულად ან ნაწილობრივ სარგებლობს **მსესხებელი** და რომელიც, თუ **ბანკსა** და **მსესხებელს** შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ავტომატურად დაიფარება **მსესხებლის** ანგარიშზე თანხის ასახვისას. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ოვერდრაფტის** მაქსიმალური ლიმიტის (მაქსიმალური სადებეტო ნაშთის) მოცულობის გაანგარიშებისას: მხედველობაში არ მიიღება (ა) **ოვერდრაფტის** ფარგლებში **მსესხებლის** მიერ ათვისებული **კრედიტის თანხის** ის ნაწილი, რომელიც **ბანკის** მიმართ უკვე შესრულებულია; (ბ) ასევე ერთი ან რამდენიმე **კრედიტის** სრულად ან ნაწილობრივ **რეფინანსირებისას** დასარეფინანსებელი ვალდებულების თანხები (დასარეფინანსებელი თანხის მოცულობა), მიუხედავად იმისა, თუ ექნება ადგილი როგორც დასარეფინანსირებელი საკრედიტო ვალდებულების, ისე ახალი **კრედიტის თანხის** ერთობლივად ასახვას **მსესხებლის** ანგარიშზე და ორივე ნაშთი, რეფინანსირების განხორციელებამდე, იარსებებს ერთობლივად გარკვეული პერიოდის განმავლობაში; ამასთან, თუ **ოვერდრაფტი** დამტკიცებულია ერთ რომელიმე ვალუტაში და შესაბამისი **კრედიტის თანხა** ან მისი ნაწილის გაცემა მოხდა სხვა ვალუტაში, სავალუტო კურსის ცვლილების გამო **ოვერდრაფტის** მოცულობის/ლიმიტის გადაჭარბება არ ჩაითვლება წინამდებარე **ხელშეკრულების** დარღვევად და **მსესხებელი** ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს **ხელშეკრულებით** და **შემადგენელი ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები;

1.1.30. **ოვერდრაფტის ხელშეკრულება** - **შემადგენელი ხელშეკრულება**, რომლის საფუძველზეც **ბანკი** უფლებამოსილია, დამტკიცებული **ოვერდრაფტის** ფარგლებში, **მსესხებლისათვის** ხელმისაწვდომი გახადოს **კრედიტის თანხა**, ხოლო **მსესხებელი** იღებს ვალდებულებას **ოვერდრაფტის** მოქმედების ვადის ამოწურვამდე სრულად დაფაროს ათვისებული **კრედიტის თანხა**, **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელები** და სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები;

1.1.31. **ოვერლიმიტი** ან **არასანქცირებული ნაშთი** - (ა) **ანგარიშზე** წარმოქმნილ სადებეტო ნაშთსა და **ხელშეკრულებით** დადგენილ **ოვერდრაფტის** საკრედიტო ლიმიტს შორის სხვაობა; (ბ) **ოვერდრაფტის** საკრედიტო ლიმიტის არარსებობის შემთხვევაში **ანგარიშზე** წარმოქმნილი სადებეტო ნაშთი;

1.1.32. **პირგასამტეხლო (ჯარიმა)** – ფულადი თანხა, რომლის გადახდის ვალდებულებაც შესაბამის **მხარეს** წარმოეშვება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შედეგად.

1.1.33. **პირი/პირები** - ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ი), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ი ან/და **კანონმდებლობის** საფუძველზე შექმნილი სხვა ორგანიზაციული / არარეგისტრირებული წარმონაქმნ(ებ)ი;

1.1.34. **პროლონგირება** ან **პროლონგაცია** - **კრედიტის თანხის** გადაუხდელად, **მსესხებლის** თხოვნით ან/და **ბანკის** დისკრეციით და ინიციატივით, **კრედიტის** მოქმედების ვადის გაზრდა იმავე (თავდაპირველი) ვადით, რა დროსაც, თუ თავად **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **კრედიტის** სხვა პირობები რჩება უცვლელი;

1.1.35. **პროცენტი** ან **საპროცენტო განაკვეთი** - **ხელშეკრულების** საფუძველზე განსაზღვრული ფიქსირებული ან/და ცვლადი/ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მოცულობა, რომელიც იანგარიშება **მსესხებლის** მიერ ათვისებული **კრედიტის** თანხის სარგებლობის ფაქტიური კალენდარული დღეების შესაბამისად, წელიწადში მაქსიმუმ 365 (სამას სამოცდახუთი) კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით;

1.1.36. **რეფინანსირება - ბანკის** მიმართ არსებული ერთი ან რამდენიმე **კრედიტის თანხის** (ფულადი ვალდებულებების) სრული ან ნაწილობრივი დაფარვა სხვა კრედიტის ხელშეკრულების საფუძველზე **მსესხებელისთვის** ახალი **კრედიტის თანხის** გაცემის გზით;

1.1.37. **საბანკო დღე** - **ბანკის** მიერ დადგენილი სამუშაო დღის (**ბანკის** მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც **ბანკი** ახორციელებს საბანკო მომსახურებას;

1.1.38. **საბანკო კრედიტი - ბანკის** საკრედიტო პროდუქტი, რომელიც გაიცემა **საბანკო კრედიტის ხელშეკრულების** ფარგლებში, **ბანკის** შეხედულებისამებრ, **მსესხებლის** მიმართვის საფუძველზე, ხოლო თავის მხრივ **მსესხებელი** იღებს ვალდებულებას სრულად დაფაროს ათვისებული **კრედიტის თანხა**, გადაიხადოს **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელები** და სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები. **საბანკო კრედიტი** შესაძლებელია გაიცეს, ცვლად საჯარო ინდექსზე მიბმული **საპროცენტო განაკვეთით** (ინდექსირებული საბანკო კრედიტი) ან/და უძრავი ქონების უზრუნველყოფით (იპოთეკური საბანკო კრედიტი) ან/და სხვა მახასიათებლით **ბანკის** საკრედიტო პოლიტიკისა და შიდა რეგულაციების გათვალისწინებით;

1.1.39. **საბანკო კრედიტის ხელშეკრულება - შემადგენელი ხელშეკრულება**, რომლის საფუძველზეც გაიცემა **საბანკო კრედიტი**.

1.1.40. **საგანგებო ავანსი** - **ბანკის** მოკლევადიანი საკრედიტო პროდუქტი, რომლითაც **მსესხებელს** ეძლევა საშუალება დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ისარგებლოს **კრედიტის თანხით**;

1.1.41. **საკომისიო – ხელშეკრულების** საფუძველზე, **საბანკო კრედიტით, ოვერდრაფტით** ან სხვა საბანკო პროდუქტებით სარგებლობისათვის **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** დაწესებული გადასახადი;

1.1.42. **საკრედიტო ხაზი** - **ხელშეკრულების** საფუძველზე **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** დადგენილი ასათვისებელი **კრედიტის თანხის** მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც **მსესხებელი** უფლებამოსილია მრავალჯერადად აითვისოს და დაფაროს **კრედიტის თანხა** იმგვარად, რომ **კრედიტის თანხის** ათვისების მომენტში ათვისებული **კრედიტების თანხის** ჯამურმა ნაშთმა არ გადააჭარბოს **ხელშეკრულებით** დადგენილ **საკრედიტო ხაზის** ლიმიტს და ამავდროულად, **მსესხებლის** მიერ ათვისებული **კრედიტის თანხის** სრულად დაფარვა განხორციელდეს **საკრედიტოს ხაზის** მოქმედების ვადის დასრულებამდე. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **საკრედიტოს ხაზის** მაქსიმალური ლიმიტის (მაქსიმალური სადებეტო ნაშთის) მოცულობის გაანგარიშებისას: მხედველობაში არ მიიღება (ა) **საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებიდან** გამომდინარე, **მსესხებლის** მიერ ათვისებული **კრედიტის თანხის** ის ნაწილი, რომელიც **ბანკის** მიმართ უკვე შესრულებულია; (ბ) ასევე ერთი ან რამდენიმე **კრედიტის** სრულად ან ნაწილობრივ **რეფინანსირებისას** დასარეფინანსებელი ვალდებულების თანხები (დასარეფინანსებელი თანხის მოცულობა), მიუხედავად იმისა, თუ ექნება ადგილი როგორც დასარეფინანსირებელი საკრედიტო ვალდებულების, ისე ახალი **კრედიტის თანხის** ერთობლივად ასახვას **მსესხებლის** ანგარიშზე და ორივე ნაშთი, რეფინანსირების განხორციელებამდე, იარსებებს ერთობლივად გარკვეული პერიოდის განმავლობაში; ამასთან, თუ **საკრედიტო ხაზი** დამტკიცებულია ერთ რომელიმე ვალუტაში და შესაბამისი **კრედიტის თანხა** ან მისი ნაწილის გაცემა მოხდა სხვა ვალუტაში, სავალუტო კურსის ცვლილების გამო **საკრედიტო ხაზის** მოცულობის/ლიმიტის გადაჭარბება არ ჩაითვლება წინამდებარე **ხელშეკრულების** დარღვევად და **მსესხებელი** ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს **ხელშეკრულებით** და **შემადგენელი ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები;

1.1.43. **საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება** - **შემადგენელი ხელშეკრულება**, რომლის საფუძველზეც **ბანკი** უფლებამოსილია, **საკრედიტო ხაზის** ფარგლებში, **მსესხებლის** მოთხოვნისას გასცეს **კრედიტი**, ხოლო **მსესხებელი** იღებს ვალდებულებას **საკრედიტო ხაზის** მოქმედების ვადის ამოწურვამდე სრულად დაფაროს ათვისებული **კრედიტის თანხა**, **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელები** და სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები;

1.1.44. **საპროცენტო სარგებელი – ხელშეკრულების**, **საბანკო კრედიტის ხელშეკრულების**, **საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების**, **ოვერდრაფტის ხელშეკრულებისა** ან/და სხვა საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე და მათი პირობების შესაბამისად **კრედიტით** (მათ შორის **საბანკო კრედიტით, საკრედიტო ხაზით, ოვერდრაფტით)** სარგებლობისათვის დაწესებული **ბანკისათვის** გადასახდელი სარგებელი, რომელიც დაიანგარიშება შესაბამისი **კრედიტის თანხის** ფიქსირებული ან/და ცვალებადი **პროცენტიდან** და რომლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება **ხელშეკრულებით**. თუ **ბანკი** ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტს **ხელშეკრულებას**, **საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება იძულებითი ან **კლიენტის** მიერ ნებაყოფლობითი აღსრულების მომენტისათვის გაანგარიშებული თანხით. ხელშეკრულების შეწყვეტისას საპროცენტო სარგებლის დარიცხვის განსხვავებული წესი შეიძლება მოქმედებდეს კონკრეტული საკრედიტო პროდუქტებისათვის, თუ შესაბამისი **შემადგენელი ხელშეკრულებებით** განსაზღვრულია **კრედიტის დეფოლტის** პირობა;

1.1.45. **საშეღავათო პერიოდი** - 27 (ოცდაშვიდი) კალენდარული დღე **ოვერდრაფტის დაანგარიშების თარიღიდან**. **საშეღავათო პერიოდის** ათვლა ხორციელდება **დაანგარიშების თარიღის** ჩათვლით;

1.1.46. **სტანდარტული პირობები** - წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი **შემადგენელი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები,** რომელიც წარმოადგენს ერთიანი **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და განთავსებულია **ბანკის** ვებგვერდზე: www.libertybank.ge;

1.1.47. **შემადგენელი ხელშეკრულება** - **ბანკსა** და **მსესხებელს** შორის მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით დადებული და **მხარეთა** მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებები, მათ შორის და არამარტო: **საბანკო კრედიტის ხელშეკრულება**, **საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება**, **ოვერდრაფტის ხელშეკრულება** ან/და **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** შეთავაზებული სხვადასხვა საბანკო პროდუქტით სარგებლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები, რომლის/რომელთა **დანართსაც** წარმოადგენს წინამდებარე **სტანდარტული პირობები. შემადგენელი ხელშეკრულება** შეიძლება გაფორმდეს **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** ფარგლებში, ასევე დამოუკიდებლად **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** გარეშე;

1.1.48. **ხელშეკრულება** - **მსესხებლის** მიერ **ბანკისათვის** წარდგენილი **განაცხადის** (როგორც ელექტრონული, ასევე არაელექტრონულის), **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** (ასეთის არსებობისას), **ხელშეკრულების თავსართის** (ასეთის არსებობისას), **შემადგენელი ხელშეკრულების** (ასეთის არსებობისას), **სტანდარტული პირობების** ან/და ნებისმიერი დამატებითი განაცხად(ებ)ის, **დანართის** ერთობლიობა, რომელიც დაიდო/დაიდება **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.1.49. **ხელშეკრულების თავსართი** - მატერიალური, ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებ(ებ)ის (მათ შორის **ბანკომატის, მობილური ტელეფონის, USSD მენიუს**, სწრაფი თვითმომსახურების აპარატის, ვებგვერდის და სხვა) გამოყენებით შექმნილი და **მსესხებლისათვის** მიწოდებული წერილობითი ინფორმაცია, რომლითაც **მსესხებელი** ეცნობა **კრედიტის** ძირითად პირობებს (პროცენტი, საკომისიო, პირგასამტეხლო და სხვა ფინანსური ხარჯები, რომელიც მოთხოვნილია კანონმდებლობით) და ხელმოწერის ან ელექტრონული ფორმითვე განხორციელებული ქმედების (ღილაკზე დაჭერა, ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა, სმს კოდის მოთხოვნა, ვერიფიკაცია და სხვა) საფუძველზე ეთანხმება მას (თავსართს); აღნიშნული თანხმობა ითვლება **მსესხებლის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების/ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ; **ხელშეკრულების თავსართი** თან ერთვის **ხელშეკრულებას** და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.1.50. **USSD მენიუ** - **მობილურ ტელეფონზე** არსებული პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც **მსესხებელი** უფლებამოსილია დააგენერიროს **განაცხადი** და ისარგებლოს **კრედიტით**;

1.1.51. წინამდებარე **ხელშეკრულების** ქვეპუნქტებში **კრედიტის** მიმართ სავალდებულო გადასახდელის (**საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს** ან/და სხვა გადასახდელები) არსებობა ან არ არსებობა დგინდება შესაბამისი **შემადგენელი ხელშეკრულებით** (მათ შორის **შემადგენელი ხელშეკრულების დანართით**) ან/და **სტანდარტული პირობების დანართი #1-ში** მოცემული ტარიფებით („მომსახურების ტარიფები“).

1.1.52. **ხელშეკრულებაში** მხოლობით რიცხვში გამოყენებული ტერმინები ან/და სიტყვები უნდა იყოს აღქმული მრავლობით რიცხვშიც (და პირიქით), თუ თავად **ხელშეკრულების** შესაბამისი პირობის კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

## 2. განცხადებები და გარანტიები

2.1. **მსესხებელი** აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

2.1.1. წარმოადგენს უფლებაუნარიან და ქმედუნარიან **პირს**, რომელსაც **ხელშეკრულების, დაკავშირებული ხელშეკრულების** დადების ან/და **განაცხადის** ხელმოწერის მიზნით მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა, ნებართვა ან/და დავალება (მინდობილობა);

2.1.2. მის მიერ **ხელშეკრულების** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულების** დადება ან/და შესრულება არ მოდის წინააღმდეგობაში **კანონმდებლობასთან** (მათ შორის **მსესხებლის** იურისდიქციის კანონმდებლობასთან), საერთაშორისო ნორმებთან ან/და სხვა სახის დოკუმენტებთან, არ იწვევს სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებით ნაკისრი/განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევას და არ წარმოშობს **მესამე პირისათვის ხელშეკრულებაზე** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებაზე** შეცილების უფლებას;

2.1.3. **მსესხებელი** არ მონაწილეობს სასამართლო ან/და საარბიტრაჟო დავაში, ადმინისტრაციულ წარმოებებში, რომელიც ხელს შეუშლის მის მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

2.1.4. წარმოადგენს გადახდისუნარიან **პირს**, რომლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრების ან რეაბილიტაციის) საქმისწარმოება, ლიკვიდაციის პროცესი ან/და არ არსებობს სხვა სახის გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის მის მიერ **ხელშეკრულებით** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

2.1.5. **ხელშეკრულების** დადების მიზნით, **ბანკისათვის** წარდგენილი ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი, ხოლო დოკუმენტები წარმოადგენს სრულ და მოქმედ რედაქციას;

2.1.6. **მსესხებელი** არ მონაწილეობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე უკანონო საქმიანობაში (მათ შორის, ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ნარკოტიკებით ვაჭრობაში ან/და ტერორიზმში), რომელიც ეწინააღმდეგება ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობას;

2.1.7. **ხელშეკრულების** დადებისას **ბანკის** ან/და **მესამე პირის** მხრიდან ადგილი არ ჰქონია, **მსესხებლის** ან/და მისი ახლობლების მიმართ იძულებას, მოტყუებას ან/და მუქარას, **ბანკს** არ უსარგებლია **მსესხებლის** მძიმე ფინანსური მდგომარეობით და არ გამოუყენებია ბოროტად **ბანკის** საბაზრო ძალაუფლება;

2.1.8. **მომსახურების ობიექტების** ან/და **ელექტრონული არხის** საშუალებით **მსესხებელი** სრულად გაეცნო და მისთვის (**მსესხებლისთვის**) მისაღებია **განაცხადში** მოცემული ინფორმაცია, **ხელშეკრულების თავსართი, შემადგენელი ხელშეკრულება** და წინამდებარე **სტანდარტული პირობები**;

2.1.9. **მსესხებელი** სრულად გაეცნო და **მსესხებლისთვის** მისაღებია **ხელშეკრულების** პირობები, მათ შორის **შემადგენელი ხელშეკრულებით** და **სტანდარტული პირობების #1 დანართით** განსაზღვრული ტარიფები. **მსესხებელი** ადასტურებს, რომ **შემადგენელი ხელშეკრულებაში** ან/და **სტანდარტული პირობების** დანართში განსაზღვრული **პირგასამტეხლო** არ არის შეუსაბამოდ მაღალი **პირგასამტეხლო**;

2.1.10. **მსესხებელი ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ აიღებს რაიმე სახის სხვა დამატებით ფინანსურ ვალდებულებ(ებ)ას.

2.1.11. **მსესხებლისთვის** ცნობილია, რომ **ბანკისათვის** სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობების მიწოდება **კრედიტის თანხის** მიღების ან მისი ოდენობის გაზრდის და/ან შეღავათიანი **კრედიტის თანხის** მიღების მიზნით, აგრეთვე მიზნობრივი **კრედიტის თანხის** არადანიშნულებისამებრ გამოყენება წარმოადგენს, როგორც **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის საფუძველს, ასევე **კანონმდებლობით** დასჯად ქმედებას.

2.2. **მსესხებელი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** ნებისმიერი გარემოებ(ებ)ის შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს **ხელშეკრულებაში** მითითებული **განცხადებებისა და გარანტიების** ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა, ხოლო **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკის** მიერვე განსაზღვრულ ვადაში, მიაწოდოს მას ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია / ინფორმაცია **მსესხებლის** ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

2.3. **მხარეები** აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებას** დებენ **განცხადებებსა და გარანტიებზე** დაყრდნობით და თვლიან მათ **ხელშეკრულების** პირობებად. შესაბამისად, **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **განცხადებების და გარანტიების** დარღვევა საკმარის საფუძველს წარმოადგენს **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე (მათ შორის **კრედიტის/ოვერდრაფტის/საგანგებო ავანსის** გაცემაზე) ცალმხრივი უარის სათქმელად ან/და **ხელშეკრულების** ცალხრივად შესაწყვეტად.

## 3. კრედიტით სარგებლობის დაწყება

3.1. ***<u>განაცხადის წარდგენის და კრედიტის დამტკიცების ზოგადი პირობები</u>***

3.1.1. **განაცხადის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენა, **ხელშეკრულების თავსართზე** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დათანხმება და **შემადგენელი ხელშეკრულების** ხელმოწერა: (ა) ადასტურებს, რომ **მსესხებელი** გაცნობილია და ეთანხმება **ხელშეკრულების თავსართში** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **შემადგენელ ხელშეკრულებაში** მოცემულ ინფორმაციას და **სტანდარტულ პირობებს**, (ბ) სურს **ხელშეკრულების** დადება და (გ) მისთვის მისაღებია **კრედიტის თანხა, პროცენტი**, მოქმედების ვადა, **პირგასამტეხლოს, საკომისიოს** მოცულობები და სხვა პირობები;

3.1.2. **ბანკის** მიერ **მსესხებლის** შესაბამისი **განაცხადის** დაკმაყოფილების შემთხვევაში, **ბანკი** და **მსესხებელი** გააფორმებენ **შემადგენელ ხელშეკრულებას,** რის საფუძველზეც **ბანკი** უფლებამოსილი იქნება **მსესხებლის** მოთხოვნისას გასცეს **კრედიტი**, ხოლო **მსესხებელი** იღებს ვალდებულებას სრულად დაფაროს ათვისებული **კრედიტის თანხა,** გადაიხადოს **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელები** და სრულად და ჯეროვნად შეასრულოს **შემადგენელი ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები;

3.1.3. **მსესხებელი** აღიარებს და აცხადებს თანხმობას, რომ **ხელშეკრულების** შესაბამისად **კრედიტის** გაცემა დამოკიდებულია მხოლოდ **ბანკის** ნებაზე. **ბანკი** ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს **კრედიტის** გაცემის საკითხს და დამოუკიდებლად წყვეტს მას. **განაცხადი** ან/და **ხელშეკრულება** არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში გასცეს **კრედიტი**, ის მხოლოდ განსაზღვრავს **კრედიტის,** მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს **კრედიტის** გაცემის საფუძველზე **ბანკსა** და **მსესხებელს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

3.1.4. **ბანკის** მიერ **კრედიტის თანხა** გაცემულად, ხოლო **მსესხებლის** მიერ მიღებულად ჩაითვლება, მას შემდეგ რაც **კრედიტის თანხა** ასახული იქნება/ჩაირიცხება **მსესხებლის მომსახურე ანგარიშზე.**

3.1.5. **კრედიტის თანხის** ათვისების შემთხვევაში **კრედიტის თანხაზე საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა დაიწყება **კრედიტის თანხის მომსახურე ანგარიშზე** ჩარიცხვის კალენდარული დღიდან.

3.1.6. **მსესხებელი** ვალდებულია ათვისებული **კრედიტის თანხა** გამოიყენოს მხოლოდ განსაზღვრული **მიზნობრიობით**.

3.1.7. **ბანკი განაცხადს** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **ხელშეკრულების თავსართს** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **შემადგენელ ხელშეკრულებას** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მასში მოცემულ პირობებს, წინამდებარე **სტანდარტულ პირობებთან** ერთად განიხილავს, როგორც ერთიან **ხელშეკრულებას** და **მსესხებლის** მიერ აღნიშნულ განაცხადზე/თავსართზე, **შემადგენელ ხელშეკრულებაზე** (ასეთის არსებობისას) თანხმობის მიცემა და **კრედიტით** სარგებლობის დაწყება, ჩაითვლება **მსესხებლის** თანხმობად/ნებად გარიგების (ხელშეკრულების) დადებაზე.

3.2. ***<u>ლიბერთი ექსპრესით, ლიბერთი ექსპრესი მინით, ლიბერთი ექსპრესი პლუსით, საგანგებო ავანსით და ოვერდრაფტით სარგებლობის მიზნით განაცხადის წარდგენა და კრედიტის დამტკიცება</u>***

3.2.1. **კრედიტის** (**ლიბერთი ექსპრესის, ლიბერთი ექსპრესი მინის, ლიბერთი ექსპრესი პლუსის, საგანგებო ავანსის და ოვერდრაფტის**) გაცემა **ბანკის** მიერ ხორციელდება შემდეგი პროცედურის დაცვით: (ა) **მსესხებელი** ირჩევს **ბანკის** მიერ წინასწარ განსაზღვრულ ერთ-ერთ **მომსახურების ობიექტს** ან **ელექტრონულ არხს,** რომლითაც სურს **კრედიტის** მოთხოვნის წარდგენა; (ბ) **მომსახურების ობიექტში** ან **ელექტრონულ არხში მსესხებელი** ავსებს **განაცხადში** მოცემულ სავალდებულო ველებს; (გ) **განაცხადის** წარდგენამდე **ბანკი მსესხებელს, ხელშეკრულების თავსართის** მეშვეობით (ხოლო თუ საკრედიტო პროდუქტი, შინაარსიდან გამომდინარე, არ ითვალისწინებს **ხელშეკრულების თავსართის** არსებობას, პირადად ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით), გააცნობს **ხელშეკრულების** ძირითად პირობებს; (დ) თუ **მსესხებლისთვის** მისაღებია **ხელშეკრულების** ძირითადი პირობები ის (**მსესხებელი**) შესაბამისი ქმედებით (მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერა, ღილაკზე დაჭერა, ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა, სმს კოდის გაგზავნა, ვერიფიკაცია ან/და სხვა ქმედება) ეთანხმება მას (**ხელშეკრულების** ძირითად პირობებს); (ე) **ხელშეკრულების** ძირითად პირობებზე (**ხელშეკრულების თავსართზე** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის მიცემის შემდგომ

**განაცხადი მსესხებლის** დასტურით ეგზავნება **ბანკს;** (ვ) **ბანკი** განიხილავს **კრედიტის განაცხადს** და თუ **მსესხებელი** აკმაყოფილებს **ბანკის** მოთხოვნებს, **მხარეები** ხელს მოაწერენ შესაბამის **შემადგენელი ხელშეკრულებას** (საკრედიტო პროდუქტის შინაარსიდან გამომდინარე ასეთის საჭიროების შემთხვევაში) და გასცემს **კრედიტს**.

3.2.2. თუ **განაცხადის** წარდგენა ხდება **მომსახურების ობიექტის** მეშვეობით **მსესხებელი განაცხადზე** აკეთებს მატერიალურ ხელმოწერას, ხოლო **ხელშეკრულების თავსართსა** და **სტანდარტულ პირობებს** ეთანხმება ელექტრონული ან მატერიალური ფორმით.

3.2.3. კონკრეტული **კრედიტის** გაცემაზე შეთანხმება **მხარეებს** შორის შესაძლებელია განხორციელდეს **სტანდარტული პირობების** 3.1.1 და 3.1.2 პუნქტებით განსაზღვრული პროცედურების გარეშე, **შემადგენელი ხელშეკრულების** ხელმოწერის გზით, აღნიშნულის გათვალისწინებით ნებისმიერ შემთხვევაში შესაბამის **შემადგენელ ხელშეკრულებაზე** ხელმოწერა წარმოადგენს **კრედიტის** გაცემის საფუძველს მიუხედავად იმისა დაცული იქნა თუ არა **სტანდარტული პირობების** 3.1.1 და 3.1.2 პუნქტით განსაზღვრული პირობები და პროცედურები.

3.3. ***<u>ავტო სესხით, საკრედიტო ხაზით, მიკრო კრედიტით, სახელფასო სესხით, სამომხმარებლო განვადებით, ოქროს ლომბარდით და სხვა კრედიტებით სარგებლობის მიზნით განაცხადის წარდგენა და კრედიტის დამტკიცება</u>***

3.3.1. **კრედიტის** (**ავტო ლომბარდი, საკრედიტო ხაზი, საგანვადებო სესხი** და სხვა) გაცემა (**საკრედიტო ხაზის** დამტკიცება და მის ფარგლებში **კრედიტის თანხის** გაცემა) **ბანკის** მიერ ხორციელდება შემდეგი პროცედურის დაცვით: (ა) **მსესხებელი** ირჩევს **ბანკის** მიერ წინასწარ განსაზღვრულ ერთ-ერთ **მომსახურების ობიექტს** ან **ელექტრონულ არხს**, რომლითაც სურს **კრედიტის** მოთხოვნის წარდგენა; (ბ) **მომსახურების ობიექტში** ან **ელექტრონულ არხში მსესხებელი** ავსებს **განაცხადში** მოცემულ სავალდებულო ველებს; (გ) **განაცხადის** წარდგენამდე **ბანკი მსესხებელს, ხელშეკრულების თავსართის** მეშვეობით (ხოლო თუ საკრედიტო პროდუქტი შინაარსიდან გამომდინარე არ ითვალისწინებს **ხელშეკრულების თავსართის** არსებობას, პირადად ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით), გააცნობს **ხელშეკრულების** ძირითად პირობებს; (დ) თუ **მსესხებლისთვის** მისაღებია **ხელშეკრულების** ძირითადი პირობები ის (**მსესხებელი**) შესაბამისი ქმედებით (მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერა, ღილაკზე დაჭერა, ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა, სმს კოდის გაგზავნა, ვერიფიკაცია ან/და სხვა ქმედება) ეთანხმება მას (**ხელშეკრულების** ძირითად პირობებს); (ე) **ხელშეკრულების** ძირითად პირობებზე (**ხელშეკრულების თავსართზე** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის მიცემის შემდგომ **განაცხადი მსესხებლის** დასტურით ეგზავნება **ბანკს;** (ვ) **ბანკი** განიხილავს **კრედიტის განაცხადს** და თუ **მსესხებელი** აკმაყოფილებს **ბანკის** მოთხოვნებს **ბანკსა** და **მსესხებელს** შორის ხელმოწერილი იქნება შესაბამისი **შემადგენელი ხელშეკრულება**, რის შემდეგადაც შესაძლებელი იქნება **კრედიტით** სარგებლობა.

3.4. ***<u>დამატებითი პირობები საკრედიტო ხაზის დამტკიცების და სარგებლობისას</u>***

3.4.1. **ბანკის** მიერ **მსესხებლის** შესაბამისი **განაცხადის** დაკმაყოფილების შემთხვევაში, **ბანკი** და **მსესხებელი** გააფორმებენ **საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას**, რომლის ფარგლებშიც **მსესხებელი** უფლებამოსილი იქნება მრავალჯერადად აითვისოს და დაფაროს **კრედიტის თანხა**, იმგვარად რომ კრედიტის თანხის ათვისებისას ათვისებული **კრედიტის თანხის** ჯამურმა ნაშთმა არ გადააჭარბოს **საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით** დადგენილ **საკრედიტო ხაზის** ლიმიტს და ამავდროულად, **მსესხებლის** მიერ ათვისებული **კრედიტის თანხის** სრულად დაფარვა განხორციელდეს **საკრედიტოს ხაზის** მოქმედების ვადის დასრულებამდე;

3.4.2. **საკრედიტო ხაზის** ათვისებისას, თითოეული ახალი ტრანშის სახით **კრედიტის თანხის** მიღების მიზნით **მსესხებელმა ბანკს** უნდა წარუდგინოს შესაბამისი განაცხადი, ამასთან **საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება** არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში გასცეს **კრედიტის თანხა,** ის მხოლოდ განსაზღვრავს **კრედიტის თანხის** გაცემის მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს **კრედიტის** გაცემის საფუძველზე **ბანკსა** და **მსესხებელს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

3.4.3. **საკრედიტო ხაზის** ფარგლებში **ბანკის** მიერ **კრედიტის თანხა** გაცემულად, ხოლო **მსესხებლის** მიერ მიღებულად ჩაითვლება, მას შემდეგ რაც **კრედიტის თანხა** ასახული იქნება/ჩაირიცხება **მსესხებლის მომსახურე ანგარიშზე**.

3.4.4. ტრანშის სახით თითოეული **კრედიტის თანხის** ათვისების შემთხვევაში **კრედიტის თანხაზე საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა დაიწყება **კრედიტის თანხის მომსახურე ანგარიშზე** ჩარიცხვის კალენდარული დღიდან.

3.4.5. **მსესხებელი** ვალდებულია **საკრედიტო ხაზის** ფარგლებში ათვისებული **კრედიტის თანხა** გამოიყენოს მხოლოდ განსაზღვრული **მიზნობრიობით**.

## 4. კრედიტით სარგებლობის და დაფარვის წესი

4.1. ***<u>კრედიტის თანხის და მასთან დაკავშირებული გადასახდელების დაფარვის წესი</u>***

4.1.1. **კრედიტის თანხის** მიღების/ათვისების შემთხვევაში, **მსესხებელი** ვალდებულია **ხელშეკრულებით** (მათ შორის **განაცხადით**) განსაზღვრული მოცულობით და პერიოდულობით, ათვისებული **კრედიტის თანხის** ან/და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** დაფარვის მიზნით, **კრედიტის მომსახურე ანგარიშზე** განათავსოს საკმარისი თანხა, რომელსაც **ბანკი** უაქცეპტოდ ჩამოჭრის და მიმართავს **ბანკის** წინაშე არსებული **მსესხებლის** დავალიანების დასაფარად/შესამცირებლად.

4.1.2. იმ შემთხვევაში, თუ **კრედიტის** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** გადახდის დღეს **მსესხებელი** არ განათავსებს **კრედიტის მომსახურე ანგარიშზე** საკმარის თანხას დავალიანების დასაფარად, **მსესხებელი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

4.1.2.1. განახორციელოს **ბანკში მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე** არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და

4.1.2.2. **ბანკში** არსებული **მსესხებლის ანგარიშ(ებ)იდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტის** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად / შესამცირებლად;

4.1.2.3. თუ გადასახდელი და **მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **მსესხებლის ანგარიშ(ებ)იდან.**

4.1.3. ნებისმიერი გადახდილი თანხა ჩაითვლება ზუსტად შესრულებულ ვალდებულებად, თუ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გადასახდელი თანხები გადახდილია **ხელშეკრულებით** (**გრაფიკით**, ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებულ ვადებში. თუ **ხელშეკრულებით** (**გრაფიკით**, ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადგენილი გადახდის დღე წარმოადგენს არასაბანკო დღეს, გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო **საბანკო დღეს.**

4.1.4. **კრედიტის თანხის** და **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელების** დაფარვის თანმიმდევრობა შემდეგია: პირველ რიგში იფარება ხარჯები (მათ შორის და არამარტო საარბიტრაჟო, სასამართლო დავასთან, სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები და სხვა), შემდგომ **პირგასამტეხლო**, **საკომისიო** თანხები, შემდეგ **საპროცენტო სარგებელი** და ბოლოს **კრედიტის თანხა.** ამასთან, აღნიშნული რიგითობა განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ და **მსესხებლის** წინასწარი თანხმობის გარეშე, შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს.

4.1.5. თუ **მსესხებელი** ვერ უზრუნველყოფს **ხელშეკრულების** ფარგლებში სხვადასხვა **შემადგენელი ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვადამოსული ვალდებულებების სრულად შესრულებას შესაბამისი ვალდებულებების შესრულების (სრულად ან ნაწილობრივ) რიგითობას განსაზღვრავს **ბანკი** საკუთარი შეხედულებისამებრ.

4.1.6. თუ **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის დადგენილი, **მსესხებელი** ვალდებულია: (ა) **კრედიტის** დამტკიცების **საკომისიო** (ასეთის არსებობისას) სრულად (ერთ ტრანშად) გადაიხადოს **კრედიტის თანხიდან ბანკის** მიერ **კრედიტის თანხის** გაცემისთანავე, ხოლო (ბ) **კრედიტის** მომსახურებების **საკომისიო** (ასეთის არსებობისას) გადაიხადოს **ხელშეკრულებ(ებ)ით** განსაზღვრული პერიოდულობით.

4.1.7. **ბანკი** უფლებამოსილია არ განახორციელოს **კრედიტის თანხის** ან/და **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელების** დაფარვა, თუ **მსესხებელს** (მათ შორის თანამსესხებელს) **ბანკის** წინაშე გააჩნია წინამდებარე **ხელშეკრულებისგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები (მიუხედავად იმისა დამდგარია თუ არა ამ ვალდებულებათა შესრულების ვადა). **მსესხებლის** (მათ შორის თანამსესხებლის) მიერ ჩარიცხული ფულადი სახსრებით **კრედიტის თანხის** ან/და **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელების** დაფარვა განხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიფარება/შემცირდება **ბანკის** წინაშე არსებული **მსესხებლის** (მათ შორის თანამსესხებლის) ამ **ხელშეკრულებისაგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები.

4.1.8. **ხელშეკრულების** საფუძველზე არსებული ფულადი ვალდებულებები უნდა შესრულდეს (გადახდილ უნდა იქნას) **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ვადებში, ხოლო აღნიშნული პირობის არარსებობისას შესაბამისი ფულადი ვალდებულებ(ებ)ის წარმოშობიდან (**პირგასამტეხლოს**, ზიანის/ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში მისი/მათი გადახდის მოთხოვნის წარდგენიდან) 10 (ათი) **საბანკო დღის** ვადაში.

4.1.9. **ლიბერთი ექსპრესის, ლიბერთი ექსპრეს მინის** და **ლიბერთი ექსპრეს პლუსის** ვადაზე ადრე (წინსწრებით) დაფარვა დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, რომ **მსესხებლის** მიერ სრულად არის გადახდილი **კრედიტთან დაკავშირებული ყველა გადასახდელი**, მათ შორის და არამარტო **კრედიტის** გაცემის, მომსახურების **საკომისიო** და პირგასამტეხლოები. ამასთან, **ლიბერთი ექსპრესის** ან **ლიბერთი ექსპრეს მინის კრედიტის თანხის** ნაწილობრივ ვადაზე ადრე დაფარვა დაუშვებელია.

4.1.10. თუ **მსესხებელი** ვერ უზრუნველყოფს **ლიბერთი ექსპრესის, ლიბერთი ექსპრეს მინის** ან **ლიბერთი ექსპრეს პლუსის კრედიტის თანხის** სრულად დაფარვას კრედიტის მოქმედების ვადაში, ადგილი არ ექნება **კრედიტის თანხის** გაზრდას (ასეთის არსებობისას) ან/და **პროლონგირებას (ასეთის არსებობისას) ბანკი** უფლებამოსილია **კრედიტის** მოქმედების ვადის შემდგომაც გააგრძელოს **კრედიტის საკომისიოს** დარიცხვა **კრედიტის თანხით** სარგებლობის ყოველ კალენდარულ დღეზე **სტანდარტული პირობების #1 დანართით** განსაზღვრული ოდენობით.

4.2. ***<u>ოვერდრაფტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელების დაფარვის წესი</u>***

4.2.1. **ოვერდრაფტის** დამტკიცების **საკომისიო** (ასეთის არსებობისას) გადაიხდება **ოვერდრაფტის** თანხიდან წინასწარ, **ოვერდრაფტის** გაცემისას/გააქტიურებისას. **ოვერდრაფტის** მომსახურების **საკომისიო**

გადაიხდება ყოველი კალენდარული თვის პირველ **საბანკო დღეს მსესხებლის ანგარიშიდან საკომისიოს** თანხის უაქცეპტო წესით ჩამოჭრის გზით;

4.2.2. **საპროცენტო სარგებელი** ერიცხება **ოვერდრაფტის** ათვისებულ ოდენობას. **საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა დაიწყება **მსესხებლის** მიერ **ოვერდრაფტის** ათვისების დღეს.

4.2.3. **მსესხებელმა ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **ოვერდრაფტის** თითოეულ ჯერზე სრულად ან ნაწილობრივ ათვისებისას, **საშეღავათო პერიოდის** ამოწურვამდე უნდა უზრუნველყოს **დაანგარიშების თარიღამდე** დარიცხული **საპროცენტო სარგებლის** სრულად დაფარვა. **საშეღავათო პერიოდის** ამოწურვის მომდევნო კალენდარული დღიდან **ოვერდრაფტი** ჩაითვლება ვადაგადაცილებულად და დაიწყება **პირობებით** გათვალისწინებული **ოვერდრაფტის** ვადაგადაცილების **პირგასამტეხლოს** დღიური დარიცხვა, რაც თავის მხრივ, არ აჩერებს **საპროცენტო სარგებლის** დარიცხვას;

4.2.4. **ოვერდრაფტზე** ვადაგადაცილების წარმოშობის პირველივე დღიდან **ბანკი** უფლებამოსილია, ცალმხრივად შეაჩეროს **მსესხებლისათვის ოვერდრაფტის** ათვისების შესაძლებლობა. **მსესხებლის** მიერ მიმდინარე დავალიანების (დარიცხული **საპროცენტო სარგებელი** და ვადაგადაცილების **პირგასამტეხლო**) 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში სრულად დაფარვის შემთხვევაში **ოვერდრაფტი** ექვემდებარება ავტომატურ გააქტიურებას (**მსესხებელს** უფლება ეძლევა გააგრძელოს **ოვერდრაფტით** სარგებლობა **პირობებით** განსაზღვრული წესით);

4.2.5. თუ **მსესხებელი ოვერდრაფტის** ვადაგადაცილების თარიღიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში სრულად არ დაფარავს **ბანკის** წინაშე არსებულ დავალიანებას, **მსესხებელს** წარმოეშობა **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი დავალიანების, მათ შორის **ოვერდრაფტის** ძირითადი თანხის, **ოვერლიმიტის, პირგასამტეხლოს, საკომისიოს,** დარიცხული **პროცენტის** სრულად დაფარვის ვალდებულება ისე, რომ **ანგარიშის** ბალანსი, რომელზეც დაშვებულია **ოვერდრაფტი,** იყოს ნულის ტოლი ან მეტი;

4.2.6. **ოვერდრაფტის** ხელახალი გააქტიურება ხორციელდება **ბანკის** შეხედულებისამებრ და შეიძლება დაექვემდებაროს **მსესხებლის** მხრიდან **ოვერდრაფტის** ხელახალი გააქტიურების **საკომისიოს** გადახდას;

4.2.7. **ოვერდრაფტის** ხელახალი გააქტიურების **საკომისიო** (ასეთის არსებობისას) ექვემდებარება გადახდას **ოვერდრაფტის** ხელახალი გააქტიურებისას;

4.2.8. **ოვერდრაფტის** მომსახურების **საკომისიო** ერიცხება **ოვერდრაფტით** სარგებლობის ყოველ კალენდარულ თვეს დამოუკიდებლად მოცემულ თვეში **მსესხებლის** მიერ **ოვერდრაფტით** ფაქტიურად სარგებლობის დღეებისა;

4.2.9. **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ შემთხვევებში **თანხის გადახარჯვის/ოვერლიმიტის** წარმოშობისას, **ოვერლიმიტის** თანხას დაერიცხება **ბანკის** მიერ **პირობებით** განსაზღვრული **პირგასამტეხლო. ოვერლიმიტის** დაფარვა **მსესხებლის** მიერ უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ.

4.2.10. **ოვერდრაფტის** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** დაფარვის თანმიმდევრობა განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ და შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს.

4.2.11. იმ შემთხვევაში, თუ **მსესხებელი** არ დაფარავს დროულად და **ხელშეკრულებით** დადგენილი ოდენობით **ოვერდრაფტს** და **მასთან დაკავშირებულ გადასახდელებს**, **მსესხებელი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, რომ **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

(i) განახორციელოს **ბანკში მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე** არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და

(ii) **ბანკში** არსებული **მსესხებლის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **ოვერდრაფტი** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად / შესამცირებლად; ან/და

(iii) თუ გადასახდელი და **მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **მსესხებლის ანგარიშ(ებ)იდან.**

4.3. *__საგანგებო ავანსის დაფარვის წესი__*

4.3.1. **საგანგებო ავანსის** გააქტიურების **საკომისიო** გადაიხდება **მსესხებლის ანგარიშიდან** წინასწარ, **საგანგებო ავანსის** დარეგისტრირებისას;

4.3.2. **საგანგებო ავანსის** მოქმედების ვადის განმავლობაში **მსესხებლის** მიერ **საგანგებო ავანსიდან** ათვისებულ თანხას ერიცხება **სტანდარტული პირობების #1 დანართით** განსაზღვრული წლიური **საპროცენტო განაკვეთი**, რომელიც ექვემდებარება **დაფარვას საგანგებო ავანსის** მოქმედების ვადის გასვლისთანავე;

4.3.3. **საგანგებო ავანსის** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** დაფარვის თანმიმდევრობა განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ და შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს;

4.3.4. **საგანგებო ავანსის** მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ **საგანგებო ავანსის** თანხა ექვემდებარება დაფარვას სრული მოცულობით. **საგანგებო ავანსის** მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ **საგანგებო ავანსის** ათვისებული თანხის დაუფარავი ნაწილი ჩაითვლება ვადაგადაცილებულად და მასზე დაიწყება პირობებით გათვალისწინებული **ვადაგადაცილების ყოველდღიური პირგასამტეხლოს** დარიცხვა;

4.3.5. იმ შემთხვევაში, თუ **მსესხებელი** არ დაფარავს დროულად **საგანგებო ავანსს** და **მასთან დაკავშირებულ გადასახდელებს**, **მსესხებელი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, რომ **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

(i) განახორციელოს **ბანკში მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე** არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და

(ii) **ბანკში** არსებული **მსესხებლის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **საგანგებო ავანსის** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელი თანხები**) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად / შესამცირებლად;

(iii) თუ გადასახდელი და **მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **მსესხებლის ანგარიშ(ებ)იდან.**

4.4. *__კრედიტის წინსწრებით დაფარვა.__*

4.4.1. თუ **ხელშეკრულების** პირობებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **კრედიტის** წინსწრებით ნაწილობრივ დაფარვა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში. ამასთან **კრედიტის** წინსწრებით ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია შეატყობინოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ არანაკლებ 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე, თუ **კანონმდებლობით** შეტყობინების უფრო მცირე ვადა არ არის გათვალისწინებული.

4.5. *__ფულადი ვალდებულებების დაფარვის პრიორიტეტი__*

4.5.1. **მსესხებელი** აცხადებს თანხმობას, **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე:

(i) **ბანკმა**, საკუთარი არჩევანით, **მსესხებლისაგან** მიღებული ფულადი სახსრებიდან პირველ რიგში, სრულად ან ნაწილობრივ, დაფაროს წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ფულადი ვალდებულებები, მიუხედავად იმისა, რომ **მსესხებელს ბანკის** წინაშე გააჩნია წინამდებარე **ხელშეკრულებისგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები (მიუხედავად იმისა დამდგარია თუ არა ამ ვალდებულებათა შესრულების ვადა); ან

(ii) **ბანკმა**, საკუთარი არჩევანით, არ განახორციელოს წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ფულადი ვალდებულებების დაფარვა, თუ **მსესხებელს ბანკის** წინაშე გააჩნია წინამდებარე **ხელშეკრულებისგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები (მიუხედავად იმისა დამდგარია თუ არა ამ ვალდებულებათა შესრულების ვადა). **მსესხებლის** მიერ ჩარიცხული ფულადი სახსრებით წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ფულადი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა განხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ რაც დაიფარება/შემცირდება **ბანკის** წინაშე არსებული **მსესხებლის** ამ **ხელშეკრულებისაგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები.

## 5. კრედიტის პროლონგირება / თანხის შეცვლა

5.1. *__ლიბერთი ექსპრესისა და ლიბერთი ექსპრეს მინის პროლონგირება__*

5.1.1. **მსესხებელი** აღიარებს და აცხადებს თანხმობას, რომ **ლიბერთი ექსპრესის** ან **ლიბერთი ექსპრეს მინის** პროლონგირებაზე თანხმობის განცხადება დამოკიდებულია მხოლოდ **ბანკის** ნებაზე. **ბანკი** ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს **მსესხებლის** თხოვნას და დამოუკიდებლად წყვეტს მას. **ხელშეკრულება** არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში მოახდინოს **კრედიტის** პროლონგირება, ის მხოლოდ განსაზღვრავს **ლიბერთი ექსპრესის** და **ლიბერთი ექსპრეს მინის** პროლონგირების მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს **ლიბერთი ექსპრესის** და **ლიბერთი ექსპრეს მინის** პროლონგირების საფუძველზე **ბანკსა** და **მსესხებელს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

5.1.2. თუ შესრულებულია **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ყველა პირობა, **მსესხებლის** მიმართვის საფუძველზე და **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში (მათ შორის მატერიალური ფორმით გაფორმებული შეთანხმების ან ელექტრონული **განაცხადის** გათვალისწინებით), შესაძლებელია განხორციელდეს **ლიბერთი ექსპრესის** და **ლიბერთი ექსპრეს მინის** პროლონგირება, რა დროსაც **ხელშეკრულების** პირობები რჩება უცვლელი.

5.1.3. **ლიბერთი ექსპრესის** და **ლიბერთი ექსპრეს მინის** პროლონგირება ასევე შესაძლებელია განხორციელდეს თავად **ბანკის** ინიციატივით, იმ შემთხვევაში თუ **მსესხებლის** მიერ **კრედიტის თანხის** დაფარვის დღეს **მსესხებლის** მიერ არ იქნება სრულად დაფარული **კრედიტი,** ხოლო **მსესხებლის** ანგარიშებზე იქნება საკმარისი თანხა **კრედიტთან დაკავშირებული სხვა გადასახდელების** გადახდისთვის.

5.1.4. **ლიბერთი ექსპრესის** და **ლიბერთი ექსპრეს მინის** პროლონგირება დასაშვებია იმ პირობით, რომ **მსესხებლის** მიერ სრულად არის გადახდილი **კრედიტთან დაკავშირებული ყველა გადასახდელი**, მათ შორის **კრედიტის** გაცემის **საკომისიო**, **კრედიტის** მომსახურების **საკომისიო**, ნებისმიერი სახის პირგასამტეხლო და **ბანკის** მხრიდან ადგილი ექნება თანხმობას **ლიბერთი ექსპრესის** და **ლიბერთი ექსპრეს მინის** მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე;

5.1.5. **ლიბერთი ექსპრესის** და **ლიბერთი ექსპრეს მინის** პროლონგირების ყოველ ჯერზე (თუ აღნიშნული განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების #1 დანართით**) **მსესხებელი** ვალდებულია გადაუხადოს **ბანკს** კრედიტის გაცემის საკომისიო, **სტანდარტული პირობების #1 დანართით** განსაზღვრულ ვადაში;

5.1.6. **ლიბერთი ექსპრესის** და **ლიბერთი ექსპრეს მინის** პროლონგირებების დასაშვები რაოდენობის (განსაზღვრულია **სტანდარტული პირობების #1 დანართით**) ამოწურვის შემდეგ **მსესხებელი** ვალდებულია სრულად დაფაროს

**ლიბერთი ექსპრესი** ან **ლიბერთი ექსპრეს მინი** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელები**;

5.1.7. **ლიბერთი ექსპრესის** და **ლიბერთი ექსპრეს მინის** პროლონგირება ექვემდებარება **მსესხებლის** მხრიდან პროლონგირების **საკომისიოს** გადახდას (ასეთის არსებობისას);

5.1.8. **ლიბერთი ექსპრესის** და **ლიბერთი ექსპრეს მინის** პროლონგირება ხდება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული თავდაპირველი ან სხვა ვადით, რომელიც განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ;

5.1.9. **ლიბერთი ექსპრეს მინის** პროლონგირების შემთხვევაში, თუ **კრედიტის ძირი** თანხა შემცირებულია, კრედიტის პროლონგირებისას პროლონგირებული კრედიტის ძირი თანხის მოცულობა იზრდება თავდაპირველი **ლიბერთი ექსპრეს მინის** ძირი თანხის მოცულობამდე.

5.2. *<u>ოვერდრაფტის პროლონგირება</u>*

5.2.1. **მსესხებელი** აღიარებს და აცხადებს თანხმობას, რომ **ოვერდრაფტის** პროლონგირებაზე თანხმობის განცხადება დამოკიდებულია მხოლოდ **ბანკის** ნებაზე. **ბანკი** ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს **მსესხებლის** თხოვნას და დამოუკიდებლად წყვეტს მას. **ხელშეკრულება** არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში მოახდინოს **ოვერდრაფტის** პროლონგირება, ის მხოლოდ განსაზღვრავს **ოვერდრაფტის** პროლონგირების მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს **ოვერდრაფტის** პროლონგირების საფუძველზე **ბანკსა** და **მსესხებელს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

5.2.2. **ოვერდრაფტის** პროლონგირება შესაძლებელია განხორციელდეს ავტომატურად, თუ **მსესხებელი ოვერდრაფტის** მოქმედების ვადის ამოწურვამდე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე წინასწარ არ აცნობებს **ბანკს ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ.

5.3. *<u>ლიბერთი ექსპრესის, ლიბერთი ექსპრესი მინის და ლიბერთი ექსპრეს პლუსის რეფინანსირება</u>*

5.3.1. **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია კრედიტი **ლიბერთი ექსპრესი, ლიბერთი ექსპრესი მინი და პლუსი** და **მასთან დაკავშირებული გადასახდელები** დაფარული იქნას **ლიბერთი ექსპრეს პლუსის** მეშვეობით და მათი გაცემის გზით (შემდგომში - **რეფინანსირება**).

5.3.2. **მსესხებელი** აღიარებს და აცხადებს თანხმობას, რომ **რეფინანსირებაზე** თანხმობის განცხადება დამოკიდებულია მხოლოდ **ბანკის** ნებაზე. **ბანკი** ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს **მსესხებლის** თხოვნას და დამოუკიდებლად წყვეტს მას. **ხელშეკრულება** არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში მოახდინოს **რეფინანსირება**, ის მხოლოდ განსაზღვრავს რეფინანსირების მინიმალურ წინაპირობებს და არეგულირებს **რეფინანსირების** საფუძველზე **ბანკსა** და **მსესხებელს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

5.3.3. თუ შესრულებულია **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ყველა პირობა, **მსესხებლის** მიმართვის საფუძველზე და **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში (მათ შორის მატერიალური ფორმით გაფორმებული შეთანხმების ან ელექტრონული **განაცხადის** გათვალისწინებით), შესაძლებელია განხორციელდეს **რეფინანსირება**.

5.3.4. **რეფინანსირება** დასაშვებია იმ პირობით, რომ **მსესხებლის** მიერ სრულად არის გადახდილი **კრედიტთან დაკავშირებული ყველა გადასახდელი**, მათ შორის **კრედიტის** გაცემის **საკომისიო, კრედიტის** მომსახურების **საკომისიო**, ნებისმიერი სახის პირგასამტეხლო და **ბანკის** მხრიდან ადგილი ექნება თანხმობას **რეფინანსირების** მიზნობრიობით **ლიბერთი ექსპრეს პლუსის** კრედიტის გაცემის თაობაზე.

5.4. *<u>არსებული ლიბერთი ექსპრესის, ლიბერთი ექსპრეს მინის და ოვერდრაფტის თანხის შეცვლა (გაზრდა).</u>*

5.4.1. **ლიბერთი ექსპრესის, ლიბერთი ექსპრეს მინის** ან/და **ოვერდრაფტის** თანხის შეცვლა ითვალისწინებს ახალი, უფრო დიდი ან უფრო მცირე მოცულობის **ლიბერთი ექსპრესის, ლიბერთი ექსპრეს მინის** ან/და **ოვერდაფტის** გაცემას / გააქტიურებას იმ პირობით, რომ **მსესხებლის** მიერ სრულად არის გადახდილი არსებული **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელები;**

5.4.2. **ლიბერთი ექსპრესის, ლიბერთი ექსპრეს მინის** ან/და **ოვერდრაფტის** თანხის შეცვლის დროს, ითვლება, რომ **ბანკსა** და **მსესხებელს** შორის ფორმდება ახალი **ხელშეკრულება** (მათ შორის გარიგება იდება ელექტონული ფორმით);

5.4.3. **ლიბერთი ექსპრესის, ლიბერთი ექსპრეს მინის** ან/და **ოვერდრაფტის** თანხის შეცვლის დროს, **მსესხებელს** შესაძლებელია დაეკისროს **ლიბერთი ექსპრესის, ლიბერთი ექსპრეს მინის** ან/და **ოვერდრაფტის** თანხის გადახედვის ერთჯერადი **საკომისიო სტანდარტული პირობების #1 დანართით** განსაზღვრული ოდენობით;

5.4.4. **ბანკს** აქვს უფლება თავისი შეხედულებისამებრ არ დაეთანხმოს **მსესხებლის ლიბერთი ექსპრესის, ლიბერთი ექსპრეს მინის** ან/და **ოვერდრაფტის** თანხის გაზრდას, - ასეთ შემთხვევაში, **ბანკი** არ არის ვალდებული განუმარტოს **მსესხებელს** თავისი გადაწყვეტილების მიზეზ(ებ)ი;

5.4.5. **ბანკი** უფლებამოსილია **მსესხებლისაგან** მიღებული **განაცხადის** საფუძველზე, განახორციელოს **მხარეთა** შორის მატერიალური ფორმით ხელმოწერილი ნებისმიერი **ლიბერთი ექსპრესის, ლიბერთი ექსპრეს მინის** ან/და **ოვერდრაფტის ხელშეკრულების** პროლონგირება ან/და თანხის შეცვლა და პირიქით (vice versa). ასეთ შემთხვევაში, წინამდებარე **სტანდარტული პირობები** და **განაცხადი** ჩაითვლება **მხარეთა** შორის გაფორმებული მატერიალური **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილად და იმოქმედებს მასთან ერთად, ხოლო მატერიალური **ხელშეკრულების** მუხლებს, პუნქტებს, ქვეპუნქტებსა და წინამდებარე **სტანდარტული პირობების** მუხლებს, პუნქტებს ან/და ქვეპუნქტებს შორის წინააღმდეგობისას უპირატესობა მიენიჭება **სტანდარტულ პირობებს.**

## 6. მონიტორინგი და ვალდებულებების უზრუნველყოფა

6.1. *<u>მონიტორინგი და ინფორმაციის წარდგენის წესი.</u>* **მსესხებელი** ვალდებულია **ბანკის** მიერ დადგენილ პირობების (მათ შორის ვადა, ფორმა და ა.შ.) შესაბამისად სრულად წარუდგენოს **ბანკს** მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

6.2. **ბანკის** მოთხოვნის საფუძველზე, **მსესხებელი** ვალდებულია: (ა) დროულად მიაწოდოს **ბანკს** ნებისმიერი ანგარიში, დებულება ან/და დოკუმენტაცია მისი ფინანსური მდგომარეობის ან/და საქმიანი ოპერაციების შესახებ (საგადასახადო ანგარიშგების ჩათვლით). აღნიშნული ინფორმაცია ან/და დოკუმენტები მიწოდებულ უნდა იქნას ყოველთვიურად (ან **მხარეთა** შორის შეთანხმებული სხვა პერიოდულობით) **ბანკისათვის** დამაკმაყოფილებელი ფორმით; (ბ) დაუშვას **ბანკის** თანამშრომლები/წარმომადგენლები **მსესხებლის** უძრავ ქონებაში, საწარმოში, ოფისში ან/და მისი საქმიანობის სხვა ტერიტორიაზე და მიაწოდოს მათ ზემოთ ხსენებული ინფორმაცია.

6.3. **ბანკი** უფლებემოსილია უაქცეპტოდ (**მსესხებლის** თანხმობის გარეშე) გადაიყვანოს **მსესხებელი** გამკაცრებული მონიტორინგის რეჟიმში, რაც გულისხმობს **ბანკის** სრულ უფლებამოსილებას, მიავლინოს მისი წარმომადგენელი **მსესხებელთან** და რეალური შემოსავლების მონიტორინგის საფუძველზე მიიღოს **ბანკის** კუთვნილი თანხები ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ. ასეთ შემთხვევაში, **მსესხებელი** ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს **ბანკის** წარმომადგენლის დაშვება **მსესხებლის** ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ქონების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესამოწმებლად.

6.4. *<u>დაზღვევა.</u>* **მსესხებელი** ვალდებულია **ბანკის** მოთხოვნისას დააზღვიოს ამავე მოთხოვნით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევები (მათ შორის **მსესხებლის** სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის დაზღვევა, **კრედიტის** უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის დაზღვევა, **მსესხებლის** სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, **მსესხებლის** მიერ სამსახურის დაკარგვის დაზღვევა და სხვა) **ბანკის** სასარგებლოდ, რა შემთხვევაშიც დაზღვევის ბენეფიციარს უნდა წარმოადგენდეს **ბანკი** ან/და **ბანკის** მიერ დასახელებული **პირი.**

6.5. თუკი სხვაგვარად არ იქნა მოთხოვნილი **ბანკის** მიერ დაზღვევა (ფრანშიზას გამოკლებით) სრულად უნდა ფარავდეს **ბანკის** ან/და **ბანკის** მიერ დასახელებული **პირის** მოთხოვნებს და დაზღვევის ერთჯერადი ან ჯამური ვადა არ უნდა იყოს **ხელშეკრულების** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)ის** მოქმედების ვადაზე ნაკლები.

6.6. **მსესხებელი** იღებს ვალდებულებას:

6.6.1. დაზღვევა განახორციელოს **ბანკისათვის** მისაღებ, მაღალი რეპუტაციის მქონე სადაზღვევო კომპანიაში;

6.6.2. დაზღვევის მომენტიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი წარუდგინოს **ბანკს**;

6.6.3. თუ დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის ერთჯერადი მოქმედების ვადა ნაკლებია **ბანკის** მოთხოვნების მოქმედების ვადაზე, დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის მოქმედების ვადის გასვლამდე არანაკლებ 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე წარუდგინოს **ბანკს** დაზღვევის დამადასტურებელი ახალი დოკუმენტი განახლებული ვად(ებ)ით;

6.6.4. დაიცვას დაზღვევის შესახებ ხელშეკრულების პირობები, მათ შორის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს** და სადაზღვევო კომპანიას, აგრეთვე, განახორციელოს ყველა ის ქმედება, რომელიც მოთხოვნილია სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო შემთხვევის ასანაზღაურებლად.

6.7. **მსესხებელი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა მსესხებლის** მიერ დაზღვევისათვის გადასახდელი პრემიის თანხები დააკავოს **კრედიტის** (**ოვერდრაფტის**) **თანხიდან** და უზრუნველყოს მათი გადარიცხვა დამზღვევისათვის. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ **კრედიტის თანხა** სრულად ათვისებულია **მსესხებლის** მიერ ან/და არ არის საკმარისი პრემიის დასაფარად, **ბანკი** უფლებამოსილია გადასახდელი პრემია დაფაროს **კრედიტის** მოცულობის ცალმხრივად გაზრდის ან **ანგარიშზე ოვერლიმიტის** წარმოშობის ხარჯზე.

6.8. *<u>მსესხებლის სხვა ვალდებულებები.</u>* **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში, **მსესხებელი** ვალდებულია:

6.8.1. საბუღალტრო აღრიცხვა აწარმოოს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებისა და **კანონმდებლობის** მოთხოვნათა სრული დაცვით;

6.8.2. არ ჩაერთოს **კანონმდებლობით** აკრძალულ საქმიანობაში, ასევე არ დაუშვას **კანონმდებლობით** აკრძალულ საქმიანობაში მისი მმართველების, დირექტორების, თანამშრომლების, პარტნიორების, აგენტების ან/და წარმომადგენლების ჩართვა;

6.8.3. **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე:

6.8.3.1. არ აიღოს დამატებით ფინანსური ვალდებულებ(ებ)ი;

6.8.3.2. არ გასცეს რაიმე სახის დივიდენდი, არ განახორციელოს **მსესხებლის** საწარმოს კაპიტალის გატანა ან სხვა ისეთი ქმედება რაც გამოიწვევს კაპიტალის შემცირებას;

6.8.3.3. არ განახორციელოს საბაზრო ფასზე მეტ ფასად ქონების ან/და მომსახურების შეძენა, აგრეთვე საბაზრო ფასზე ნაკლებ ფასად ქონების ან/და მომსახურების გასხვისება;

6.8.3.4. **მესამე პირთან** არ გააფორმოს ხელშეკრულება, რის შედეგადაც **მესამე პირს** წარმოეშვებათ **მსესხებლის** საწარმოდან მოგების მიღების უფლებამ (როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი გზით);

6.8.3.5. **მესამე პირთან** არ გააფორმოს ხელშეკრულება, რის შედეგადაც მესამე პირს მიეცემათ **მსესხებლის** საწარმოს მმართვის უფლება;
6.8.3.6. არ გაასხვისოს ან/და სარგებლობაში გადასეს მისი კუთვნილი ან/და მის სარგებლობაში არსებული ის ქონება, რომელიც აუცილებელია **მსესხებლის** საქმიანობის ეფექტურად განსახორციელებლად ან/და თუ მისი/მათი **მესამე პირისთვის** გადაცემა წარმოშობს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების საფრთხეს;
6.8.3.7. არ შეიტანოს ცვლილებები ან/და დამატებები სადამფუძნებლო დოკუმენტებში. არ განახორციელოს მსესხებლის საწარმოს გაყოფა, შერწყმა, გაერთიანება ან/და რეორგანიზაცია.

## 7. ხელშეკრულების ცვლილების წესი

7.1. **ბანკი**, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, უფლებამოსილია, **მსესხებლისათვის** წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად გაზარდოს ფიქსირებული **საპროცენტო განაკვეთი** ან/და შეცვალოს **ხელშეკრულების** ნებისმიერი პირობა.
7.2. ინდექსირებული **საბანკო კრედიტის** შემთხვევაში:
7.2.1. ცვლადი/ინდექსირებული **საპროცენტო განაკვეთის** ცვლილება **ბანკის** მიერ განხორციელდება იმ ინდექსის ცვლილებისას, რომელ საჯარო ინდექსზეც არის მიბმული ცვლადი **საპროცენტო სარგებელი**.
7.2.2. **ბანკი** უფლებამოსილია ცვლადი/ინდექსირებული **საპროცენტო განაკვეთი** შეცვალოს, გადაიყვანოს ფიქსირებულ **საპროცენტო განაკვეთში** და ავტომატურად გაზარდოს ინდექსირებული **საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ოდენობამდე, თუ ადგილი ექნება **მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და ინდექსირებული **საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობას ან/და არაჯეროვან შესრულებას.
7.3. **სტანდარტული პირობების** 7.2.2 პუნქტით განსაზღვრული საფუძვლით **საპროცენტო განაკვეთის** ცვლილება არ საჭიროებს **მსესხებლის** დამატებით აქცეპტს ან/და მისთვის (**მსესხებლისთვის**) წინასწარი შეტყობინების გაგზავნას. აღნიშნულ შემთხვევაში, შეცვლილი გადასახდელი დაირიცხება ცვლილების მიღების მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და დაექვემდებარება გადახდას **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით.
7.4. ინდექსირებული **საბანკო კრედიტის** მოქმედების განმავლობაში **მსესხებელი** უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს რეფინანსირების** მოთხოვნით, რის შედეგადაც ცვლადი/ინდექსირებული **საპროცენტო განაკვეთი** (თუ ის **მსესხებლის** მომართვის მომენტისათვის მოქმედებს) ჩანაცვლდება ფიქსირებული **საპროცენტო განაკვეთით.** აღნიშნული საფუძვლით **რეფინანსირების** შემთხვევაში ახალი ფიქსირებული **საპროცენტო განაკვეთის** მოცულობა განისაზღვრება **მსესხებლის** განაცხადის მიღების მომენტში **ბანკში** არსებული საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად.
7.5. **ბანკის** მხრიდან, **ხელშეკრულების** პირობების, მათ შორის და არამართო **საკომისიოს**, **პირგასამტეხლოს** ან/და **საპროცენტო განაკვეთის, მსესხებლის** სასარგებლოდ ცვლილება ან/და ისეთი ცვლილება რაც არ აუარესებს და არ ცვლის **მსესხებლის** უფლებრივ ან/და ფინანსურ მდგომარეობას, არ საჭიროებს **მსესხებლისთვის** წინასწარი შეტყობინების გაგზავნას.
7.6. **ბანკის** მიერ, **ხელშეკრულების** პირობების (გარდა ინდექსირებული **საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთისა**), მათ შორის და არამართო **საკომისიოს**, **პირგასამტეხლოს** ან/და **საპროცენტო განაკვეთის მსესხებლის** საუარესოდ შეცვლისას, **მსესხებელი** უფლებამოსილია **ბანკისათვის** წარდგენილი წერილობითი განცხადების საფუძველზე არ დაეთანხმოს **ბანკის** გადაწყვეტილებას, რა შემთხვევაშიც **ხელშეკრულება** ჩაითვლება სრულად შეწყვეტილად და **მსესხებელი** ვალდებული იქნება **ბანკისათვის** შეცვლილი პირობების ძალაში შესვლიდან 15 (თხუთმეტი) **საბანკო დღის** ვადაში სრულად შეასრულოს **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებები (მათ შორის და არამართო დაფაროს **კრედიტი** ან/და **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელები**, **პირგასამტეხლო**, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები ან/და სხვა ხარჯები).
7.7. **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელების** ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლისას **მსესხებელი** უფლებამოსილია მოითხოვოს **ბანკისაგან** ახალი კორექტირებული **გრაფიკი**.
7.8. **ხელშეკრულების** ხელმოწერის დღისთვის არსებული ეროვნული ვალუტის საბაზრო გაცვლითი კურსის აშშ დოლართან მიმართებაში 3,00% (სამი პროცენტის) ოდენობით ცვლილების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია გაცემული **კრედიტის თანხა** გადაიტანოს სხვა ვალუტაში. ამასთან, **კრედიტის თანხის** კონვერტაცია სხვა ვალუტაში განხორციელდება **კრედიტის თანხის** გაცემის დღისთვის არსებული გაცვლითი კურსით ან **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა კალენდარული დღის გაცვლითი კურსით.

## 8. კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებები

8.1. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოთხოვოს **მსესხებელს ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებ(ებ)ის უზრუნველყოფა. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, **მსესხებელი** ვალდებულია:
8.1.1. **ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში, **ბანკს** დასატვირთად გადასცეს ქონება ან წარმოადგინოს ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის, **ბანკისათვის** მისაღები სხვა რომელიმე საშუალება;
8.1.2. უზრუნველყოფის საშუალებებზე, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში და პირობებით, გააფორმოს შესაბამისი **დაკავშირებული ხელშეკრულებები.**
8.2. თუ **ხელშეკრულებით** ან/და მის საფუძველზე გაფორმებული **დაკავშირებული ხელშეკრულებებით** განსაზღვრული **მსესხებლის** რომელიმე ვალდებულება თავისი შინაარსით, საჭიროებს კანონმდებლობით განსაზღვრულ რეესტრში რეგისტრაციას, **მსესხებელი** იღებს ვალდებულებას **ხელშეკრულების** ან/და შესაბამისი **დაკავშირებული ხელშეკრულების** ხელმოწერის / დადების თარიღიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს აღნიშნული ვალდებულებ(ებ)ის რეგისტრაცია შესაბამის რეესტრში. ამასთან, **მსესხებლის** წინამდებარე ვალდებულება არ გამორიცხავს, ზემოაღნიშნულ (15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე) ვადაში **ბანკის** უფლებას ან ამ ვადის გასვლის შემდეგ **მსესხებლის** და **ბანკის** უფლებებს ერთობლივად ან ცალ-ცალკე უზრუნველყონ **მსესხებლის** ზემოხსენებული რომელიმე ვალდებულების რეგისტრაცია შესაბამის რეესტრში.
8.3. **მსესხებლის** მიერ ამ მუხლით დადგენილი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია:
8.3.1. მოითხოვოს **კრედიტის** და **მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელის** ვადამდელი დაფარვა; ან/და
8.3.2. უარი განაცხადოს **კრედიტის** დაშვებაზე/გაცემაზე და შეწყვიტოს/გააუქმოს **ხელშეკრულება**.
8.4. თუ **მსესხებელთან** ან მესაკუთრეთან/თავდებთან გაფორმდება **დაკავშირებული ხელშეკრულება, დაკავშირებული ხელშეკრულების** საფუძველზე **მსესხებლის** ან/და **მესამე პირის** მიერ ქონებით (შემდგომში - **უზრუნველყოფის საგანი**) უზრუნველყოფილი იქნება **მსესხებლის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.
8.5. თუ **უზრუნველყოფის საგანს** წარმოადგენს **მსესხებლის** ფულადი სახსრები, მათ შორის დეპოზიტი, სადეპოზიტო სერტიფიკატი ან/და სხვა სახის სადეპოზიტო პროდუქტი (შემდგომში - **დეპოზიტი**), **მსესხებელი** წინამდებარე **ხელშეკრულების** მოქმედების მანძილზე უარს ამბობს მის უფლებაზე ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს/მოშალოს **დეპოზიტის** ხელშეკრულება(ები) ან/და სრულად ან ნაწილობრივ მოითხოვოს **დეპოზიტის** თანხა. **მსესხებელი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე პირობას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა **ბანკსა** და **მსესხებელს** შორის შეთანხმებულ სხვა სახელშეკრულებო (მათ შორის დეპოზიტის) პირობებთან მიმართებაში.
8.6. თუ **ბანკსა** და **მსესხებელს** შორის **დეპოზიტის** ხელშეკრულების მოქმედების ვადა ნაკლებია ამ **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაზე, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **დეპოზიტის** ხელშეკრულების ვადის გასვლის ყოველ ჯერზე მისი მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება **დეპოზიტის** ხელშეკრულებით განსაზღვრული საწყისი ვადით და იმავე პირობებით.
8.7. თუ **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში **უზრუნველყოფის საგნის** ღირებულება შემცირდება ან/და წარმოიქმნება მისი შემცირების საშიშროება იმ გარემოებათა გამო, რომლებზეც პასუხისმგებელი არ არის **ბანკი**, **ბანკი** უფლებამოსილია **მსესხებლისაგან** მოითხოვოს, ხოლო **მსესხებელი** ვალდებულია, **ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში **ხელშეკრულებაში** მოცემული პირობების შესაბამისად, **ბანკს** დასატვირთად გადასცეს დამატებითი **უზრუნველყოფის საგანი** ან წარმოადგინოს ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის რომელიმე სხვა, **ბანკისათვის** მისაღები საშუალება.
8.8. **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს **უზრუნველყოფის საგნის** შეცვლა იმ შემთხვევაში, თუ: (ა) **უზრუნველყოფის საგნის** ღირებულება ისე შემცირდა, რომ საფრთხე ექმნება უზრუნველყოფილ მოთხოვნას; (ბ) **უზრუნველყოფის საგნის** მესაკუთრის მიმართ **მესამე პირმა** შეიტანა/შეიტანეს სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვს **უზრუნველყოფის საგანზე** (ან მის ნაწილზე) მესაკუთრის საკუთრების უფლების შეწყვეტას ან შეზღუდვას, ასეთ შემთხვევაში **მსესხებელი** ვალდებულია გონივრულ ვადაში დააკმაყოფილოს **ბანკის** მოთხოვნა **უზრუნველყოფის საგნის** შეცვლის შესახებ.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) **კანონმდებლობით** ან/და **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით.
9.2. **მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია **მსესხებელზე** არ გასცეს **კრედიტის თანხა**, შეაჩეროს **ოვერდრაფტის, საკრედიტო ხაზის** ან/და სხვა საკრედიტო/საბანკო პროდუქტის მოქმედება.
9.3. თუ **მსესხებელი** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრ ვალდებულებებს (მათ შორის დააგვიანებს ან არ გადაიხდის **გრაფიკით** გათვალისწინებულ ვადებში **კრედიტის თანხას** და/ან **კრედიტთან დაკავშირებულ გადასახდელებს**), **ბანკი** უფლებამოსილია დაარიცხოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში **მსესხებელი** ვალდებულია გადაიხადოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **პირგასამტეხლო**.
9.4. **მხარეთა** შეთანხმებით **კრედიტის** ძირითადი თანხა შეიძლება დაიფაროს **ხელშეკრულებით** (**გრაფიკით**) გათვალისწინებულ ვადებზე ადრეც, მაგრამ ამ შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია დაარიცხოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში **მსესხებელი** ვალდებულია გადაიხადოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **კრედიტის** ვადაზე ადრე დაფარვის **პირგასამტეხლო**.
9.5. **ბანკი** უფლებამოსილია, **მსესხებლის** მიერ **კრედიტის** ვადაზე ადრე დაფარვამდე მოსთხოვოს **მსესხებელს**, ხოლო ასეთ შემთხვევაში **მსესხებელი** ვალდებულია, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში და არაუგვიანეს **კრედიტის**

დაფარვის თარიღამდე, **ბანკისთვის** მისაღები ფორმით, წარუდგინოს **ბანკს** ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ ან/და ირიბად იძლევა **კრედიტის** ვადაზე ადრე დაფარვის წყაროს დადგენის შესაძლებლობას. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **მსესხებლის** საკუთარი სახსრებით **კრედიტის** დაფარვად მიიჩნიოს **კრედიტის** დაფარვა **მსესხებლის** პირადი შემოსავლებიდან. წინამდებარე პუნქტით დადგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულების შეუსრულებლობს ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, **კრედიტის** ვადაზე ადრე დაფარვა, **ბანკის** მიერ განიხილება, როგორც **კრედიტის** სხვა ფინანსური ინსტიტუტ(ებ)ის, კომერციული ბანკ(ებ)ის საშუალებით ან/და მათი ფულადი სახსრების გამოყენებით რეფინანსირებად, რა შემთხვევაშიც **მსესხებელი** ვალდებულია გადაიხადოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **კრედიტის** ვადამდე ადრე დაფარვის **პირგასამტეხლო**.

9.6. **მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული რომელიმე **პირგასამტეხლოს** გადახდა არ ათავისუფლებს მას (**მსესხებელს**) **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.7. **მსესხებელი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:

9.7.1. განახორციელოს **მსესხებლის** ნებისმიერ **ანგარიშზე**, რაც ყველანაირი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **მომსახურე ანგარიშს,** არსებული ნაშთების/თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება **მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად;

9.7.2. **ბანკში** არსებული **მსესხებლის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად;

9.7.3. თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **მსესხებლის ანგარიშიდან;**

9.7.4. **ბანკის** წინაშე არსებული **მსესხებლის** ვალდებულებები გაქვითოს **მსესხებლის** წინაშე არსებულ **ბანკის** ნებისმიერ ვალდებულებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

9.7.5. **ოვერლიმიტის** ხარჯზე, უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კრედიტთან** დაკავშირებული ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **საკომისიო**, **პირგასამტეხლო**, ზიანის / ზარალის ანაზღაურების თანხები და სხვა) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად.

9.8. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახელმწიფო, ადმინისტრაციული ან/და სხვა უფლებამოსილი **პირების** მიერ **მსესხებლის ანგარიშებზე**, და მათ შორის **მომსახურე ანგარიშზე** დაწესებულ შეზღუდვებზე (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ინკასო, ყადაღა და სხვა), რის შედეგადაც **მსესხებელი** ვერ უზრუნველყოფს მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას. ამასთან, **მსესხებელი** ადასტურებს, რომ აღნიშნული გარემოებები არ წარმოადგენს **ხელშეკრულებით**, **დაკავშირებული ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრული **ბანკის** უფლებების შეზღუდვის ან/და **მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულებით**, **დაკავშირებული ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძველს.

## 10. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

10.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მსესხებლის** მიერ **ბანკისათვის განაცხადის** საფუძველზე შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის და **ბანკის** მიერ აღნიშნული **განაცხადის** ნებისმიერი ფორმით დათანხმების/წარმოებაში მიღების მომენტიდან, ხოლო **საკრედიტოს ხელშეკრულების** არსებობისას მისი ხელმოწერი მომენტიდან და მოქმედებს **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე. **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის კრედიტით** სარგებლობის შესაძლებლობის მიცემა (მაგ. **კრედიტის თანხის** ჩარიცხვა **მომსახურე ანგარიშზე**) წარმოადგენს **მსესხებლის განაცხადზე ბანკის** თანხმობის დადასტურებას.

10.2. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია **ხელშეკრულების** ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:

10.2.1. ვადამდე **ბანკის** მიერ თუ:

10.2.1.1. **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულია **მსესხებლის** მიერ ვალდებულებების შესრულება (**კრედიტის თანხის** ან/და **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელების** დაფარვა) ნაწილ-ნაწილ/ეტაპობრივად და **მსესხებელი,** ნებისმიერ ეტაპზე, სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **კრედიტის თანხის** ან/და **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელების** გადახდის ვალდებულებას ზედიზედ ორჯერ და აღნიშნულის გამოსწორება (ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებლობა) არ იქნება უზრუნველყოფილი **ბანკის** მიერ შეტყობინების გაგზავნიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში; ან/და

10.2.1.2. **მსესხებელი** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებებს, განცხადებებს და გარანტიებს, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);

10.2.1.3. ნებისმიერი უფლებამოსილი ორგანო **მსესხებელს** ჩამოართმევს ქონებას ან/და სხვა აქტივებს ან/და მის მნიშვნელოვან ნაწილს ან/და მოახდენს მის ნაციონალიზაციას ან/და ექსპროპრიაციას;

10.2.1.4. **მსესხებლის** ან/და უზრუნველყოფის საგნის/ქონების მესაკუთრის მიმართ ან/და თავდების მიმართ სახელმწიფო, ადგილობრივი ან/და მსგავსი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება ან/და გამოყენებული იქნება ღონისძიება, რომელიც არსებითად გაართულებს ან/და შეუძლებელს გახდის **მსესხებლის** ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ საკუთარი ქონების განკარგვას;

10.2.1.5. სასამართლოს, არბიტრაჟის, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ან სახელმწიფოს ნორმატიული ან/და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და სხვა ფორმით უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის ან/და თავდების ნებისაგან დამოუკიდებლად საფრთხე ემუქრება საკუთრების უფლებას უზრუნველყოფის საგანზე/ქონებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

10.2.1.6. **უზრუნველყოფის საგნის** მესაკუთრე ან/და თავდები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრულად და ჯეროვნად არ ასრულებს **დაკავშირებული ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ვალდებულებებს;

10.2.1.7. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაცია გაუარესდება ან/და **ბანკი** დაადგენს, რომ არსებული საბაზრო პირობები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის **მსესხებლის,** უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის ან/და თავდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდისუნარიანობას;

10.2.1.8. **მსესხებელზე** გაიხსნება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ან მის მიმართ წამოწყებული იქნება სასამართლო/საარბიტრაჟო წარმოება, რითაც საფრთხე შეიძლება შეექმნას **მსესხებელის** ქონებას ან/და საეჭვო გახდეს **მსესხებელის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრული ან/და ჯეროვანი შესრულება;

10.2.1.9. **ბანკი** დაადგენს, რომ **მსესხებლის** ფულადი სახსრების ბრუნვის მდგომარეობა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მისი ფინანსური პროფილის სიჯანსაღეს, **მსესხებლის** საქმიანობას და ეჭვქვეშ აყენებს მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;

10.2.1.10. **მსესხებელი** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **დამატებითი პირობებით** ნაკისრ ვალდებულებებს.

10.2.1.11. **მსესხებელი** შეწყვეტს ან ნებისმიერი სხვა მიზეზით **მსესხებელს** შეუწყდება თავის დამსაქმებელთან არსებული შრომითი ურთიერთობა, რომელიც გახდა **მხარეთა** შორის **ხელშეკრულების** გაფორმების საფუძველი.

10.2.2. თითოეული **მხარის** მიერ ვადამდე, თუ შეწყვეტის მომენტში **მსესხებელს ბანკის** წინაშე არ გააჩნია რაიმე სახის შეუსრულებელი ვალდებულება მათ შორის **კრედიტის თანხის** ან/და **მასთან დაკავშირებული გადასახდელების** დავალიანება;

10.2.3. **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;

10.2.4. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.3. **მხარე**, რომელიც **ხელშეკრულების** საფუძველზე მიიღებს გადაწყვეტილებას **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ ვადამდე შეწყვეტის თაობაზე ვალდებულია წერილობით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებით შეატყობინოს მეორე **მხარეს** მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი, ამოქმედების თარიღამდე არანაკლებ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე, თუ **ხელშეკრულებით** სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.

10.4. **ხელშეკრულების** სრულად შეწყვეტის შემთხვევაში:

10.4.1. **საპროცენტო სარგებლის** და **პირგასამტეხლოს** დარიცხვა გაგრძელდება **კრედიტის თანხაზე** და **მსესხებელი** ვალდებული იქნება სხვა გადასახდელებთან ერთად **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების ნებაყოფლობით ან/და აღსრულების წესით სრულად დაფარვისას, ასევე დაფაროს **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემდეგომ დარიცხული **პირგასამტეხლო** და **საპროცენტო სარგებელი;**

10.4.2. **მსესხებელი** ვალდებულია დაუყოვნებლივ ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული პირობებით, სრულად დაფაროს **ბანკის** წინაშე არსებული ნებისმიერი დავალიანება, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელების** თანხები, **პირგასამტეხლო**, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები, **ბანკის** მიერ გაწეული სასამართლო/საარბიტრაჟო, აღსრულების ან/და სხვა ხარჯები;

10.4.3. **ბანკი** უფლებამოსილია **ხელშეკრულების** საფუძველზე წარმოშობილი დავალიანება (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელების** თანხები) დაფაროს **ბანკში** არსებული **მსესხებლის** ნებისმიერი სახის უზრუნველყოფილი **კრედიტის** თანხ(ებ)იდან. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, **მსესხებელი** ვალდებულია ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, რასაც **ბანკი** მიიჩნევს საჭიროდ წინამდებარე პუნქტში აღწერილი ქმედების სრულად და ჯეროვნად შესასრულებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში წინამდებარე პუნქტი და **ხელშეკრულების** სხვა შესაბამისი პუნქტები მიჩნეული იქნება, როგორც ცვლილება შესაბამის უზრუნველყოფილი **კრედიტის** ხელშეკრულება(ებ)ში და **ბანკი** უფლებამოსილი იქნება **ხელშეკრულების** საფუძველზე წარმოშობილი დავალიანება (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელების** თანხები) სრულად გადაფაროს უზრუნველყოფილი **კრედიტის** მეშვეობით;

10.4.4. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ: (ა) წარადგინოს მოთხოვნა, დაიწყოს იძულებითი აღსრულების მიქცევა **მსესხებლის** ნებისმიერ მოძრავ ან/და უძრავ ქონებაზე, ასევე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ან/და (ბ) წარადგინოს მოთხოვნა, დაიწყოს იძულებითი აღსრულების მიქცევა

უზრუნველყოფის საგანზე (ასეთის არსებობისას). თუ უზრუნველყოფის საგანი (ასეთის არსებობისას) ან მისი რეალიზების შედეგად მისაღები თანხა არ არის საკმარისი **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად დაფარვისათვის (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტის** ან/და **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელების** თანხების გადახდისათვის), **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს **მსესხებლისაგან** ვალდებულების შესრულება მისი (**მსესხებლის**) ნებისმიერი სხვა ქონებით.

10.4.5. იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის რეალიზაციიდან მიღებული თანხა საკმარისი არ არის **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად დაფარვისათვის (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელების** თანხების გადახდისათვის), **მსესხებელს** დაეკისრება პასუხისმგებლობა დარჩენილი დავალიანების ნაშთზე. იგივე პირობა ვრცელდება იმ ხარჯებზე, რაც შეიძლება წარმოიშვას **ბანკის** მიერ უზრუნველყოფის საგნების რეალიზაციის პროცესში;

10.4.6. **ბანკი** თავისუფლდება **მსესხებლის** წინაშე არსებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულებისაგან.

10.5. **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **მსესხებელს ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.

10.6. თუ **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შედეგები (მათ შორის პასუხისმგებლობა) არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით**, მაშინ **მხარეები** იხელმძღვანელებენ შესაბამისი **კანონმდებლობით.**

## 11. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

11.1. წინამდებარე **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება **ხელშეკრულების** ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება **მხარეებს** შორის მოლაპარაკების საფუძველზე.

11.3. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** იურიდიული მისამართის მიხედვით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ: (ა) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლის საფუძველზე, მსესხებელი წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას და უარს ამბობს დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე; და (ბ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის $1^1$ ნაწილის საფუძველზე, დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

## 12. ბანკში პრეტენზიის წარდგენის წესი

12.1. **მსესხებელი** უფლებამოსილია, გაწეულ საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ ზეპირი ან წერილობითი ფორმით **ბანკის** ფილიალების ან/და სერვის-ცენტრების საშუალებით ან/და ელექტრონული ფოსტით **ბანკის** კორპორატიული ვებ გვერდის www.libertybank.ge ან/და ელ-ფოსტა ConsumerProtection@lb.ge საშუალებით, **ბანკში** დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

12.2. **ბანკის** მიერ პრეტენზიის განხილვის და შესაბამისი პასუხის მიღების მაქსიმალური ვადა შეადგენს 1 (ერთ) კალენდარულ თვეს.

12.3. **მსესხებელს** შესაძლებლობა აქვს გაეცნოს **ბანკის** მიერ პრეტენზიების განხილვის პროცედურას **ბანკის** ვებგვერდის (www.libertybank.ge) საშუალებით.

## 13. კომუნიკაცია

13.1. **ბანკის** მიერ **მსესხებელთან** კომუნიკაცია ხორციელდება, როგორც წერილობითი ასევე ზეპირი ფორმით, ხოლო **მსესხებლის** მიერ **ბანკთან** კომუნიკაცია მხოლოდ წერილობითი ფორმით.

13.2. წერილობითი ფორმით კომუნიკაციისას შეტყობინება უნდა მიეწოდოს **მხარეს ხელშეკრულებაში** ან/და **ბანკთან** არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში, **განაცხადებში** მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების), ინტერნეტბანკინგის, მობილ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:

13.2.1. **მსესხებლის** მიერ **ბანკისათვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;

13.2.2. **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **მსესხებლისათვის** ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში **მსესხებლის** მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი პირისათვის ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;

13.2.3. **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **მსესხებლის** ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;

13.2.4. **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების), ინტერნეტბანკინგის, მობილ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნის დღეს, ხოლო **ბანკის** ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებისას - ინფორმაციის განთავსების დღეს.

13.3. თუ **მსესხებელი ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის ხელშეკრულებაში არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ბანკს** ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს **ხელშეკრულების** საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე ან გაგზავნილი შეტყობინება ვერ ჩაბარდება **მსესხებელს** მისამართზე არ ყოფნის მიზეზით ზედიზედ ორჯერ, **ბანკის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულებაში** არ არის მითითებული **მსესხებლის** საკონტაქტო მონაცემ(ებ)ი ან შეტყობინება ზედიზედ მეორე მცდელობის შემდეგ ვერ ჩაბარდება ადრესატს, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება მოახდინოს **მსესხებლის** ინფორმირება საჯარო პუბლიკაციის გზით (როგორც ბეჭდვითი ასევე ინტერნეტის საშუალებით ან სხვა ფორმით). აღნიშნული ქმედება არ ჩაითვლება პერსონალურ მონაცემთა დარღვევად და წინამდებარე **ხელშეკრულება** განიხილება როგორც **მსესხებლის** თანხმობა მისი მონაცემების ამ მიზნით და მოცულობით დამუშავების თაობაზე.

13.5. **მხარეთა** შორის კომუნიკაცია ხორციელდება ქართულ ენაზე, ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **მსესხებელთან** კომუნიკაცია განახორციელოს **მსესხებლისთვის** მისაღებ სხვა ენაზეც.

13.6. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **მსესხებელთან** კომუნიკაცია სხვადასხვა მიზნით. შესაბამისად, **მსესხებლისთვის** განკუთვნილი შეტყობინება (როგორც წერილობითი ასევე ზეპირი) შესაძლოა ატარებდეს (ა) საინფორმაციო/ტრანზაქციულ (მაგალითად ინფორმაცია **მსესხებლის** ანგარიშზე შესრულებული ოპერაციების შესახებ, წვდომის კოდების **მსესხებლისთვის** მიწოდება, გადახდის გრაფიკის შეხსენება და სხვა), (ბ) სახელშეკრულებო-ვალდებულებით (მაგალითად, გაფრთხილება დავალიანების არსებობის თაობაზე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა და სხვა), (გ) მარკეტინგულ (მაგალითად, ახალი კრედიტის ან პროდუქტის შეთავაზება და სხვა) ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შინაარსს.

13.7. **ბანკი** უფლებამოსილია **მსესხებელთან** კომუნიკაციისას გამოიყენოს **ბანკში მსესხებლის**, ან მისი თანხმობით მესამე პირების მიერ **მსესხებლის** შესახებ დაფიქსირებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემი. ერთი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დაფიქსირებული **მსესხებლის** საკონტაქტო მონაცემები (მიუხედავად იმისა მოქმედია თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება), **ბანკის** მიერ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას **ბანკთან** არსებული სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში კომუნიკაციის მიზნით და პირიქით.

13.8. **მსესხებელი** თავად არის პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საკონტაქტო მონაცემების გამოყენებისას კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად. თუ **მსესხებელს** არ სურს **ბანკმა** ისარგებლოს რომელიმე საკონტაქტო მონაცემით, **მსესხებელმა** აღნიშნული მოთხოვნით **ბანკს** უნდა მიმართოს წერილობით.

## 14. კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია

14.1. ***მონაცემების დამუშავება***. **მსესხებლისათვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, **ბანკი** უფლებამოსილია, წინამდებარე **სტანდარტული პირობების** 14.8. პუნქტში მოცემული მიზნებით, განახორციელოს **მსესხებლის** შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის **მსესხებლის** პერსონალური მონაცემების, დამუშავება.

14.2. **ბანკის** მიერ **მონაცემთა დამუშავება,** ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, კერძოდ, მათ **მსესხებლისაგან** ან წინამდებარე **სტანდარტული პირობების #2 დანართში** ჩამოთვლილი **მესამე პირებისაგან** მოპოვებას, შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას (მათ შორის ინფორმაციის გამოთხოვას ან/და გამჟღავნებას წინამდებარე პირობებში მოცემული მესამე პირ(ებ)ისთვის, რომლებიც შემდგომში განახორციელებენ მონაცემთა დამუშავებას წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მიზნით) მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას.

14.3. **ბანკის** ან/და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი **მესამე პირების** მიერ ხორციელდება **მსესხებლის** ან მის მიერ დასახელებული **მესამე პირის**

შესახებ არსებული ინფორმაციის **დამუშავება** (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, **ბანკის** შეკვეთით უფლებამოსილი პირების მიერ) ან/და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი **მესამე პირებისათვის** ამ ინფორმაციის გადაცემა კონკრეტული მიზნებისათვის, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი პერსონალური მონაცემებით:

(i) **მსესხებლის** სახელი და გვარი;

(ii) პირადი ნომერი ან/და მისი ელექტრონული პირადობის მოწმობის უნიკალური მახასიათებლები;

(iii) რეგისტრირებული ან/და ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი;

(iv) ტელეფონის/მობილურის ნომერი;

(v) ელექტრონული ფოსტის მისამართი;

(vi) საკრედიტო ისტორია (როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური, მათ შორის მიმდინარე ან/და წარსულში არსებული დავალიანების, სესხებისა და მათი დაფარვის დეტალები) და გადახდისუნარიანობის სტატუსი (**მსესხებლის** გადახდისუნარიანობის შეფასების ქულა, მისი კრიტერიუმები ან/და მეთოდოლოგია);

(vii) **მსესხებლის** საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთები და მათი მახასიათებლები, ასევე სხვა აქტივები;

(viii) დამსაქმებლის მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია დასაქმების პირობების შესახებ (დასაქმების ადგილი, ხელფასი, სამუშაო გრაფიკი და სხვა);

(ix) **ბანკში** და საქართველოში მოქმედ სხვა კომერციულ ბანკებში ანგარიშ(ებ)ის შესახებ ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ანგარიშებზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთები, და კონკრეტულ პერიოდში ამ ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციები;

(x) **ბანკის** ან/და საქართველოში მოქმედი სხვა კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული ბარათების და შესაბამისი საბარათე ანგარიშების ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ბარათებზე კონკრეტული დროისა და თარიღისთვის არსებული ნაშთები და კონკრეტულ პერიოდში ამ ბარათებზე განხორციელებული ტრანზაქციები, ასევე მათი წვდომის კოდები;

(xi) სხვადასხვა საგადახდო პროვაიდერებთან დაფიქსირებული **მსესხებლის** ანგარიშის/აბონენტის მონაცემები (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ანგარიშის/აბონენტის ნომერი, მისამართი, სააბონენტო ანგარიშზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთი ან/და დავალიანება, სააბონენტო ანგარიშზე განხორცილებული ტრანზაქციები ან/და ბალანსის შევსება ან/და დავალიანების დაფარვა, და სხვა);

(xii) სხვადასხვა ელექტრონულ არხებში ან/და ინტერნეტ სივრცეში გამჟღავნებული ნებისმიერი მონაცემი (მათ შორის და არამარტო მზა ჩანაწერები ე.წ. cookies და სხვა) და **მსესხებლის** ან/და მას მიერ მითითებული მესამე პირ(ებ)ის აქტივობა აღნიშნულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ასეთ არხ(ებ)ში დალოგინებისა და ჩატარებული ქმედებებისა თუ ტრანზაქციების ისტორია);

(xiii) ინფორმაცია ოჯახის წევრების, ნათესავების ან მისამართზე მცხოვრები სხვა პირების შესახებ;

(xiv) ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც უკავშირდება **მსესხებელს** და რის შედეგადაც შესამლებელია **მსესხებლის** იდენტიფიცირება ან/და დახასიატება ან/და სხვა კლიენტებთან მისი დაჯგუფება პირის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებითა თუ ზემოთ მოყვანილ ქვე-პუნქტებში ჩამოთვლილი ან ნაგულისხმები ტრანზაქციული აქტივობით.

14.4. თუ **მსესხებელი,** მომსახურების მიღების მიზნით, **ბანკს** აწვდის **მესამე პირების** (**დამატებითი ბარათის** მფლობელი, თავდები პირი, ოჯახის წევრები, დამსაქმებელი და სხვა) შესახებ ინფორმაციას, მათ შორის და არამარტო ინფორმაციას პერსონალური მონაცემების, გადახდისუნარიანობის, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და სხვა, ხოლო **ბანკი** ახორციელებს აღნიშნული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, დამუშავებას საბანკო მომსახურების შესრულებისთვის ან/და მარკეტინგული მიზნით, **მსესხებელი** თავად არის ვალდებული მოპოვებული ჰქონდეს აღნიშნულ პირთა თანხმობა, მათი პერსონალური მონაცემების **ბანკის** მიერ დამუშავებაზე. **მსესხებლის** მიერ ამგვარი ინფორმაციის **ბანკისთვის** (ან მისი უფლებამოსილი პირისთვის) მიწოდების ფაქტი გულისხმობს **მსესხებლის** მიერ ამ პიროვნებისგან თანხმობის მოპოვებას და აღარ საჭიროებს **ბანკის** მიერ ასეთი დასტურის მოპოვებას. **მსესხებელი** თავად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგენს **ბანკს** **მსესხებლის** მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. **მსესხებელი** თანახმაა აუნაზღაუროს და დაიცვას **ბანკი** ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **ბანკი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

14.5. **ბანკის** მიერ ელექტრონულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, **ბანკის** მობილური აპლიკაციები, **LB PAY აპარატები, ბანკომატები** ან/დამონაცემთა გადაცემისა და მიღების სხვა ტექნიკური საშუალებები და არხები) **მსესხებლის** შესახებ მონაცემების დამუშავება, ასევე მოიცავს **მსესხებლის** აქტივობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით სარგებლობისას **მსესხებლის** ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, ძიების ველში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქციის არჩევანის სიხშირის ან/და სხვა ნებისმიერ სტატისტიკურ მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და **მსესხებლის** მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ.**მსესხებლის** ან/და მესამე პირთა საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას.

14.6. ***<u>მონაცემთა დამუშავების საფუძველი.</u>*** **მსესხებლისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, **ბანკის** მიერ **მსესხებლის** ან მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის მონაცემების (მათ შორის პერსონალური მონაცემების) **დამუშავება** აუცილებელია:

14.6.1. **მსესხებლის** განცხადების განსახილველად ან/და მისთვის მომსახურების გასაწევად;

14.6.2. **ბანკის** ან/და მესამე პირ(ებ)ის კანონიერი ინტერესების დასაცავად;

14.6.3. **ბანკის** მიერ **კანონმდებლობით** დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

14.6.4. **კანონმდებლობით** განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

14.7. თუ მონაცემთა დამუშავებისთვის, **კანონმდებლობა** ითხოვს **მსესხებლის** თანხმობის არსებობას, აღნიშნულ თანხმობად ჩაითვლება ნებისმიერი ელექტრონული ან/და არაელექტრონული ფორმით გაკეთებული **მსესხებლის განაცხადი,** რომლითაც **მსესხებელი** ეთანხმება წინამდებარე **სტანდარტულ პირობებს** და რომელიც ამ **განაცხადთან** ერთად წარმოადგენს ერთიან **ხელშეკრულებას.**

14.8. ***<u>მონაცემების დამუშავების მიზანი</u>***. **ბანკის** ან/და წინამდებარე **სტანდარტულ პირობებში** ჩამოთვლილი მესამე პირ(ებ)ის მიერ **მსესხებლის** ან მის მიერ მითითებული მესამე პირების პერსონალური მონაცემების **დამუშავება** შესაძლებელია განხორციელდეს სხვა და სხვა მიზნით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე:

14.8.1. საბანკო მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;

14.8.2. **მსესხებლის** გადახდისუნარიანობის გადამოწმებისთვის;

14.8.3. **მსესხებლის** საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ან სხვა მსგავსი საკრედიტო-სარეიტინგო კომპანიის მონაცემთა ბაზაში აღრიცხვის და საკრედიტო სარეიტინგო ქულის გამოთვლის მიზნით, რომელიც დაკავშირებულია გადაუხდელი სესხებისა და სხვა შეუსრულებელი/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან და ასევე ინფორმაციის შეგროვებასთან, დამუშავებასა და გავრცელებასთან ფიზიკური და იურიდიული პირების მიმდინარე და გადახდილი კრედიტების/ვალდებულებების შესახებ.

14.8.4. eMoney ელექტრონული საფულით სარგებლობისთვის, რომელიც წარმოადგენს **ბანკის** და eMoney-ს ერთობლივ მომსახურებას, რომლის გამოყენებითაც ბანკისა და eMoney-ს **მსესხებელს** ეძლევა საშუალება იქონიოს eMoney ელექტრონული საფულე კონკრეტული მომენტისთვის შესაძლო ვალუტაში(ებში), საიდანაც უფლებამოსილია აწარმოოს ანგარიშსწორება ან/და გადახდები, მიიღოს თანხები ელექტრონულ საფულეზე ან/და განახორციელოს კანონით ან/და შესაბამისი პირობებით გათვალისწინებული და ნებადართული სხვა მოქმედებები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, გამოიყენოს მისი eMoney საფულის ანგარიში (ან/და მობილური ნომერი ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართი და პაროლი) ავტორიზაციისთვის ისეთ ვებ გვერდებზე სადაც eMoney-თ ავტორიზაცია დაშვებულია.

14.8.5. კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის აუდიტორული კომპანიების, პოტენციური ცესიონერის ან ცედენტის, მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;

14.8.6. **ბანკის** მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც **ბანკი** ახორციელებს **მსესხებლის** შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;

14.8.7. სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და პრეზენტაციების მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ;

14.8.8. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე თაღლითობის, ფულის გათეთრების ან სხვა დანაშაულის გამოსავლენად ან/და პრევენციისთვის;

14.8.9. არსებული კრედიტის ფარგლებში, კრედიტის თანხის ოდენობის გაზრდის, ან/და კრედიტის სხვა პირობების (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, მისი ვადიანობისა და საპროცენტის განაკვეთის) ცვლილების შეთავაზებისთვის, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის **მსესხებლის** საკრედიტო ისტორიის გადამოწმება წამოადგენს;

14.8.10. ახალი ან/და დამატებითი საკრედიტო ან არასაკრედიტო პროდუქტების შეთავაზების მიზნით, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის **მსესხებლის** საკრედიტო ისტორიის გადამოწმება წარმოადგენს;

14.8.11. მარკეტინგული მიზნით, რაც გულისხმობს, როგორც ბანკის, ასევე წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირების მიერ სხვადასხვა პროდუქტების/მომსახურების პერიოდულ შეთავაზებას.

14.9. ***<u>ინფორმაციის წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირებისთვის გადაცემა/მესამე პირისაგან ინფორმაციის გამოთხოვა</u>***. იმისათვის, რომ **ბანკმა** სრულად და ჯეროვნად განახორციელოს **მსესხებლის** მომსახურება, მონაცემთა დამუშავების ფარგლებში აუცილებელია მონაცემების წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირებისთვის გადაცემა ან/და თავად ასეთი პირ(ებ)ისაგან **მსესხებლის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების გამოთხოვა.

14.10. საბანკო მომსახურების მიღების და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, **მსესხებელი ბანკს** ანიჭებს უფლებას, **მსესხებლის** დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:

14.10.1. **კანონმდებლობით** დადგენილი წესით, მრავალჯერადად საბანკო მომსახურების მიღების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, **ბანკისთვის** აუცილებელი, **კლიენტის** პერსონალური მონაცემები.

14.10.2. გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის, **კანონმდებლობით** დადგენილი წესით და პირობებით, დაამუშაოს **ბანკში** დაცული ან/და საკრედიტო საინფორმაციო ბიუროებში (შემდგომში - **ბიურო**) არსებული ინფორმაცია **კლიენტის** შესახებ. ამასთან **კლიენტისათვის** ცნობილია, რომ **ბანკი** **კანონმდებლობით** განსაზღვრული და **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეაგროვებს/დაამუშავებს **კლიენტის** შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია **ბიუროსათვის** ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან **კანონმდებლობით** გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება **კლიენტის** გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება **ბიუროში** ჩართული მომხმარებლებისათვის **კანონმდებლობით** დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები). ასევე **კლიენტს** გაცნობიერებული აქვს **კანონმდებლობით** გათვალისწინებული უფლებები, რომ **კლიენტის** (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

14.10.3. **ბიუროსათვის** გადასაცემი და **ბიუროდან** მისაღები ინფორმაცია განისაზღვრება **კანონმდებლობით** და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შეიძლება მოიცავდეს: **კლიენტის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, **ხელშეკრულებისა** და კრედიტის მონაცემებს, ინფორმაციას **კლიენტის** მიმდინარე, შესრულებული/შესრულებული ვალდებულებების მოცულობის და ვადების შესახებ, ინფორმაციას უზრუნველყოფის საშუალებების თაობაზე, თავდებობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სხვა ინფორმაციას, რომელიც განსაზღვრულია **კანონმდებლობით** ან/და **ბანკსა** და **ბიუროს** შორის გაფორმებული **ხელშეკრულებით**.

14.10.4. **ბანკმა** კანონმდებლობით დადგენილი წესით, მრავალჯერადად მესამე პირებს (მათ შორის და არამარტო, დაკავშირებულ პირ(ებ)ს, მაკონტროლებელ/საზედამხედველო ორგანოებს, აუდიტორებს, პოტენციურ ცესიონერებს და სხვა) გადასცეს ან/და აღნიშნული მესამე პირებისაგან მიიღოს, **ბანკისთვის** აუცილებელი, **მსესხებლის** ან/და **მსესხებლის** მიერ დასახელებული პირების (ნებისმიერი **დამატებითი ბარათის** მფლობელი, თავდები და სხვა) მონაცემები (მათ შორის და არამარტო პერსონალური მონაცემები, ანგარიშებზე ნაშთები ან/და დავალიანება, ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია და სხვა).

14.11. ***<u>პირდაპირი მარკეტინგი</u>***. **მსესხებელი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას, **ბანკში** დაფიქსირებულ **მსესხებლის** ტელეფონის ნომერზე, ელექტრონული ფოსტის ან სხვა საკონტაქტო მისამართზე, **ბანკის** მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელდეს მოკლე ტექსტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნა (პირდაპირი მარკეტინგი), მანამ სანამ **ბანკი მსესხებლისაგან** არ მიიღებს სხვაგვარ მითითებას, მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით.

14.12. **მსესხებელი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას, სხვადასხვა მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით, **ბანკმა** გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს **ბანკის** ხელთ არსებული **მსესხებლის** პერსონალური მონაცემები ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია **ბანკის** დაკავშირებულ პირ(ებ)ს. ამასთან, **მსესხებელი** უფლებამოსილი იქნება მოსთხოვოს დაკავშირებულ პირ(ებ)ს პირდაპირი მარკეტინგის შეწყვეტა, მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით.

14.13. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და **მსესხებელი** არ იქნება უფლებამოსილი **ბანკს** მოსთხოვოს სხვადასხვა სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა, თუ აღნიშნული სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები **მსესხებელს** მიეწოდება უშუალოდ **ბანკის** მომსახურების წერტილებში (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა) ან **ბანკის** კუთვნილ (ბანკთან ასოცირებულ) ელექტრონულ არხებში (მათ შორის ბანკომატი, ინტერნეტ ბანკი, მობილ **ბანკი** და სხვა).

14.14. ***<u>ვიდეოთვალთვალი და აუდიო ჩაწერა.</u>*** უსაფრთხოების, საკუთრებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, **ბანკში** მიმდინარეობს შენობ(ებ)ის გარე პერიმეტრისა და შესასვლელ(ებ)ის, სამუშაო ადგილ(ებ)ის მონიტორინგი ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩამწერი სისტემ(ებ)ის მეშვეობით, ასევე ვიდეოთვალთვალი ხორციელდება **ბანკომატის** ან სხვა ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით, ხოლო აუდიო ჩაწერა მიმდინარეობს ბანკთან სატელეფონო კომუნიკაციისას.

14.15. **ბანკის** მომსახურების წერტილებში, აგრეთვე ბანკთან კომუნიკაციისას ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩაწერის მიმდინარეობის შესახებ **მსესხებელი** ინფორმირებული იქნება შესაბამისი ფორმით. **მსესხებელი,** აცნობიერებს რა ვიდეოთვალთვალის და აუდიო ჩაწერის აუცილებლობას, თანხმობას გამოთქვამს აღნიშნული მონაცემების დამუშავებაზე.

14.16. ***<u>საავტორო უფლებები</u>***. **მსესხებელი** აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ **ბანკის** ვებ-გვერდზე, ინტერნეტ ბანკში, მობილ ბანკში, მობილურ აპლიკაციებსა და სხვა ელექტრონულ არხებში განთავსებული **მსესხებლის** მონაცემები (ბეჭდვითი, აუდიო ან/და ვიზუალური) თუ ის არ განეკუთვნება **მსესხებლის** პერსონალურ მონაცემებს ჩაითვლება **ბანკის** საკუთრებად და **ბანკი** აღნიშნული მონაცემების განთავსებისთანავე სრულად მოიპოვებს მათზე საავტორო ქონებრივ უფლებებს.

14.17. ***<u>მონაცემების განახლება. დამუშავების და შენახვის ვადა.</u>*** თითოეული **მხარე** ვალდებულია, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და **მესამე პირს** არ გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია.

14.18. **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში, ასევე მისი შეწყვეტის შემდგომ, **ბანკის** მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის ამ თავით განსაზღვრული მიზნებით **დამუშავება** (მათ შორის მონაცემების სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი სხვა მესამე პირებისთვის, გადაცემა ან/და აღნიშნული მონაცემების მათგან მიღება) გაგრძელდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით.**

14.19. იმ მონაცემების დამუშავება, რომელიც **მსესხებლის** მიერ **ბანკს** მიეწოდა ელექტრონული არხების (ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, **ბანკის** მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) საშუალებით, არ წყდება **მსესხებლის** მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით.**

14.20. **მსესხებლის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი კანონმდებლობით** გათვალისწინებულ ფარგლებში, მიაწვდის **მსესხებელს** მის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით **ბანკში** არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე **ბანკი** უფლებამოსილია დააწესოს მომსახურების საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის უსასყიდლოდ მიწოდების ვალდებულება გათვალისწინებულია **კანონმდებლობით.**

14.21. თუ **მსესხებელი** თვლის, რომ **მსესხებლის** შესახებ **ბანკში** არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ.

14.22. თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **მსესხებელი** არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს **ბანკს** მის შესახებ **ბანკში** დაცული პერსონალური მონაცემების წაშლა.

## 15. მსესხებლების სიმრავლე

15.1. თუ წინამდებარე **ხელშეკრულების** ხელმომწერი **მსესხებელი** რამდენიმეა, **ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად გავრცელდება თითოეულ მათგანზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი **მსესხებლის** სამართლებრივი სტატუსიდან (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი) ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებული შეზღუდვებიდან გამომდინარე კონკრეტული პირობა ვერ გავრცელდება ასეთ **მსესხებელზე/მსესხებლებზე**.

15.2. **მსესხებლები** წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს **ბანკის** წინაშე შეუსრულებელი ვალდებულებების მიმართ. შესაბამისად, **ბანკი** უფლებამოსილია:

15.2.1. საკუთარი შეხედულებისამებრ, **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულება მოსთხოვოს როგორც ერთ, ასევე რამდენიმე **მსესხებელს**, ხოლო **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში მათ სამართალმემკვიდრეებს;

15.2.2. ერთ-ერთ **მსესხებელთან** დაკავშირებული ფაქტები გამოიყენოს სხვა **მსესხებლების** მიმართაც;

15.3. თითოეული **მსესხებლის** სოლიდარული პასუხისმგებლობა ვრცელდება ამ **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებულ და წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ ვალდებულებებთან მიმართებაშიც, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ეს **მსესხებელი** ამგვარი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის მხარეს.

15.4. **მხარეები** ასევე თანხმდებიან, რომ ერთ-ერთი **მსესხებლის** გარდაცვალება, ქმედუუნარობა ან/და შეზღუდული ქმედუნარიანობა, არ ათავისუფლებს **მსესხებელს/მსესხებლებს** **ხელშეკრულებით** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)ით** ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულებისაგან (მათ შორის და არამარტო **კრედიტის თანხის** გადახდა, მიზნობრიობის შესრულება).

15.5. ერთ-ერთი **მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულების** დარღვევის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა დარღვევა განპირობებული იქნა თუ არა **მსესხებლის** გარდაცვალების, ქმედუუნარობის ან/და შეზრუდული ქმედუნარიანობის შედეგად, **ბანკი** უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნა/მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ **მსესხებელს** და მის მიმართ ისარგებლოს ამ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უფლებებით.

15.6. **ბანკის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებ(ებ)ის (მათ შორის **მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულებიდან** ან/და **კანონმდებლობიდან** გამომდინარე ვალდებულებების დარღვევისას

წარმოშობილი უფლებ(ებ)ის) რომელიმე **მსესხებლის** მიმართ გამოუყენებლობა არ ვრცელდება სხვა **მსესხებელზე/მსესხებლებზე** და არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულებებისგან.

## 16. დასკვნითი დებულებები

16.1. **ხელშეკრულების** ფარგლებში **შემადგენელი ხელშეკრულების**, **შემადგენელი ხელშეკრულების დამატებითი პირობების** ან/და **სტანდარტული პირობების** ტექსტს შორის წინააღმდეგობისას უპირატესი იურიდიული ძალა მიენიჭება:

16.1.1. **შემადგენელი ხელშეკრულების დამატებით პირობებს;**

16.1.2. შემდგომ, **შემადგენელი ხელშეკრულების** პირობებს გარდა **დამატებითი პირობებისა**;

16.1.3. და ბოლოს, **სტანდარტულ პირობებს**;

16.2. **შემადგენელი ხელშეკრულების** ძირითად პირობებსა (მათ შორის **დამატებით პირობებსა** და **სტანდარტულ პირობებს**) და მისი **დანართის** პირობებს შორის უპირატესობა მიენიჭება **დანართის** პირობებს;

16.3. **მსესხებელი** ვალდებულია დაიცვას საიდენტიფიკაციო მონაცემების (მათ შორის წვდომის კოდების) კონფიდენციალურობა. **მსესხებელი** ადასტურებს და იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს მობილური ტელეფონის** ან/და მისი (**მობილური ტელეფონის**) ნომრის დაკარგვის, **მსესხებლის** მიერ ტელეფონის ნომრის მფლობელობის გაუქმების, გასხვისების, სხვისთვის გადაცემის ან/და სხვა ისეთი ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს **ბანკის** მიერ **მსესხებლისათვის** მომსახურების უსაფრთხო მიწოდებაზე.

16.4. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **მსესხებლის** მიერ **ბანკში** დაფიქსირებული **მობილური ტელეფონის** ნომრის შეცვლის, გასხვისების, **მობილური ტელეფონის** ან სიმ-ბარათის დაკარგვის, სხვისთვის გადაცემის და ნებისმიერი მსგავსი ვითარების შედეგად გამოწვეულ შედეგებზე.

16.5. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ბანკი** იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობები (მათ შორის და არამარტო **სტანდარტული პირობების #1 დანართით** განსაზღვრული ტარიფები, **კრედიტის, საგანგებო ავანსის** ან/და **ოვერდრაფტის** თანხა და სხვა) იმისათვის, რომ იგი შესაბამისობაში მოვიდეს **ბანკში** დადგენილ ახალ წესებთან, შეცვლილ საბაზრო პირობებთან, საბანკო პრაქტიკასთან ან/და **კანონმდებლობასთან.**

16.6. **მსესხებლის** მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა ჩაითვლება ზუსტად შესრულებულ ვალდებულებად, თუ ისინი გადახდილია **ხელშეკრულებით** დადგენილ თარიღში, ხოლო თუ ეს თარიღი არ ემთხვევა **საბანკო დღეს**, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევნო **საბანკო დღისა**.

16.7. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის **კანონმდებლობის** საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.

16.8. **მსესხებელი** არ არის უფლებამოსილი **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირ(ებ)ს** სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, **ბანკი** მიუხედავად აღნიშნული პირობისა უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებს **მესამე პირებისაგან** მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

16.9. **ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე**, მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

16.10. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით, მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიიჩნევა **ბანკის** იურიდიული მისამართი.

16.11. **მსესხებლის** მიერ **ხელშეკრულებიდან** ან/და **კანონმდებლობიდან** გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს, ამასთან **ბანკის** მიერ ამგვარი უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს შემდგომში **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** დარღვევის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.

16.12. **ხელშეკრულებაში** არსებული მუხლ(ებ)ი/პუნქტ(ებ)ი/ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილი და დასათაურებულია, ხოლო გამუქებული სიტყვები მოცემულია **ხელშეკრულების** შინაარსის მოხერხებულად აღქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციაზე.

16.13. **გრაფიკი** დგება მატერიალური ან ელექტრონული ფორმით. მატერიალური ფორმით გრაფიკის შედგენისას, ის დგება 2 (ორი) ეგზემპლარად რომლის ერთი პირი რჩება **ბანკს** ხოლო მეორე პირი გადაეცემა **მსესხებელს**. რამდენიმე მატერიალური ფორმით **გრაფიკის** არსებობისას უპირატესობა მიენიჭება უფრო ახალი თარიღის მქონე **გრაფიკის** პირობებს, ხოლო ერთი თარიღის მქონე **გრაფიკებს** შორის ან/და **გრაფიკის** ტექსტსა და **ხელშეკრულების** პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება **ბანკში** დაცულ **გრაფიკის** ეგზემპლარის ან/და **ბანკში** არსებული ელექტრონუილი **გრაფიკის** (შესაბამისი პროგრამული ჩანაწერის) პირობებს.თუ **გრაფიკი** დგება ელექტრონული ფორმით, მასზეც წვდომის უფლება ასევე გადაეცემა **მსესხებელს**. რამდენიმე ელექტრონული **გრაფიკის** არსებობისას უპირატესობა მიენიჭება უფრო ახალი თარიღის მქონე **გრაფიკის** პირობებს, ხოლო ერთი თარიღის მქონე **გრაფიკებს** შორის ან/და **გრაფიკის** ტექსტსა და **ხელშეკრულების** პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება **ბანკში** დაცული **გრაფიკის** ელექტრონული ეგზემპლარის ან/და **ბანკში** არსებული **გრაფიკის** პროგრამული ჩანაწერის პირობებს.

16.14. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის **სტანდარტული პირობებიც** განთავსებულია **ბანკის** ვებგვერდზე: www.libertybank.ge. **ბანკის** სურვილის შემთხვევაში **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებას** და მის **სტანდარტულ პირობებს** უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებასთან** და მის **სტანდარულ პირობებთან** მიმართებაში.

16.15. **მსესხებელი** ვალდებულია ხელი მოაწეროს **ხელშეკრულების** და **დაკავშირებული ხელშეკრულების** (მათი **დანართების** ჩათვლით, გარდა **სტანდარტული პირობებისა**) ყველა ეგზემპლარის თითოეულ გვერდს, ამასთან **მსესხებლის** მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ შეიძლება გახდეს **ხელშეკრულების** ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულების** ან მათი კონკრეტული ნაწილის საეჭვოდ ან სადავოდ გახდის საფუძველი.

### კრედიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების
### №1 დანართი – მომსახურების ტარიფები[1]

| | |
|---|---|
| **1. სწრაფი სამომხმარებლო კრედიტი „ლიბერთი ექსპრესი“** | |
| **1.1. ლიბერთი ექსპრესი 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის მოქმედების ვადით[2]:** | |
| კრედიტის თანხა (ძირი) და ვალუტა: | • ინტერნეტ ბანკი, ვებგვერდი oneloan.ge, lx.ge და libertybank.ge-დან გააქტიურების შემთხვევაში: 300, 400, 500, 600, 700, 800 ლარი<br>• სხვა არხებით გააქტიურების შემთხვევაში: 100, 150, 200, 250, 300, 400, 500, 600 ლარი |
| კრედიტის მოქმედების ვადა: | 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე |
| კრედიტის გაცემის საკომისიო: | არ არის განსაზღვრული - 0 ლარი*<br>** საკომისიო მოქმედებს 2017 წლის 13 ივნისიდან გაცემულ, პროლონგირებულ, გაზრდილ სესხებზე* |
| კრედიტის მომსახურების საკომისიო: | • კრედიტის თანხის 5.85% - 30 კალენდარულ დღეზე<br>**საკომისიო გადახდილი უნდა იქნას სრულად კრედიტის მოქმედების ვადის ბოლოს (30-ე კალენდარულ დღეს). კრედიტის ვადაზე ადრე სრულად დაფარვის შემთხვევაში გადახდილი უნდა იქნას მხოლოდ კრედიტის სარგებლობის პერიოდში დარიცხული საკომისიო.*<br>** ბანკი უფლებამოსილია პირობების 4.1.7. ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში დაარიცხოს მსესხებელს მომსახურების საკომისიო ყოველ კალენდარულ დღეზე 0.195% ოდენობით.*<br>** საკომისიო მოქმედებს 2017 წლის 13 ივნისიდან გაცემულ, პროლონგირებულ, გაზრდილ სესხებზე* |
| კრედიტის პროლონგირების დასაშვები რაოდენობა: | შეუზღუდავი, თუ მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული |
| კრედიტის პროლონგირების საკომისიო: | არ არის განსაზღვრული - 0 ლარი |
| ყოველდღიური პირგასამტეხლო ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევისათვის: | კრედიტის მთლიანი ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%, ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე |
| კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტეხლო: | • მსესხებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ვადამდე სრულად დაფაროს კრედიტი და მასთან დაკავშირებული გადასახდელები. კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვისათვის საკომისიო/პირგასამტეხლო გათვალისწინებული არ არის;<br>• თუ კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვისას მსესხებელს კრედიტის თანხის გარდა გააჩნია ბანკის წინაშე შეუსრულებელი სხვა ფულადი ვალდებულებები (მაგ. მომსახურების საკომისიო, პირგასამტეხლო და სხვა), ვადაზე ადრე დაფარვა განხორციელდება მას შემდეგ, რაც მსესხებელი სრულად დაფარავს პირგასამტეხლოს ან/და მომსახურების საკომისიოს (მათ შორის დარიცხული ვადაგადაცილებული დღეების შესაბამისად) თანხებს. |
| **1.2. ლიბერთი ექსპრესი 12 (თორმეტი) კალენდარული თვის მოქმედების ვადით[3] (არ გაიცემა 2017 წლის 15 იანვრიდან)** | |
| კრედიტის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო: | • 100 ლარიან კრედიტზე – 15.00 ლარი<br>• 150 ლარიან კრედიტზე – 22.50 ლარი<br>• 200 ლარიან კრედიტზე – 25.00 ლარი<br>• 250 ლარიან კრედიტზე – 30.00 ლარი<br>• 300 ლარიან კრედიტზე – 36.00 ლარი<br>• 400 ლარიან კრედიტზე – 48.00 ლარი<br>• 500 ლარიან კრედიტზე – 60.00 ლარი<br>• 600 ლარიან კრედიტზე – 72.00 ლარი<br>** გადახდილი უნდა იქნას კრედიტის გაცემის (ბოლო პროლონგირების/თანხის გაზრდის) თარიღიდან ყოველ 30-ე (ოცდამეათე) კალენდარულ დღეს* |
| კრედიტის მოქმედების ვადა: | განისაზღვრება შემდეგი პრინციპით: კრედიტის გაცემიდან 12 (თორმეტი) კალენდარული თვე, ხოლო თუ ადგილი ჰქონდა კრედიტის თანხის გაზრდას კრედიტის თანხის ბოლო გაზრდიდან 12 (თორმეტი) კალენდარული თვე |
| კრედიტის დაფარვის პირობა: | კრედიტის თანხის სრულად დაფარვა შესაძლებელია, როგორც ვადამდე ასევე კრედიტის მოქმედების ვადის ბოლოს |
| კრედიტის პროლონგირება ან თანხის ზრდა: | კრედიტის პროლონგირება ან თანხის ზრდა დაუშვებელია |
| კრედიტის ვადაგადაცილების ერთჯერადი პირგასამტეხლო: | • პირველივე ვადაგადაცილების შემთხვევაში - კრედიტის მთლიანი ნარჩენი ძირითადი თანხის 5.00%;<br>• თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობას ან/და არაჯეროვან შესრულებას ადგილი აქვს:<br>- უწყვეტად 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში - კრედიტის მთლიანი ნარჩენი ძირითადი თანხის დამატებით 10.00%<br>- უწყვეტად 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში - კრედიტის მთლიანი ნარჩენი ძირითადი თანხის დამატებით 10.00% |
| კრედიტის ვადაგადაცილების ყოველდღიური პირგასამტეხლო: | • 100 ლარიან კრედიტზე – 1.00 ლარი<br>• 150 ლარიან კრედიტზე – 1.50 ლარი<br>• 200 ლარიან კრედიტზე – 2.00 ლარი<br>• 250 ლარიან კრედიტზე – 2.50 ლარი<br>• 300 ლარიან კრედიტზე – 2.50 ლარი<br>• 400 ლარიან კრედიტზე - 3.00 ლარი<br>• 500 ლარიან კრედიტზე - 4.00 ლარი<br>• 600 ლარიან კრედიტზე - 6.00 ლარი |
| კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტეხლო: | • მსესხებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ვადამდე სრულად დაფაროს კრედიტი და მასთან დაკავშირებული გადასახდელები. კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვისათვის საკომისიო/პირგასამტეხლო გათვალისწინებული არ არის; |

| | |
|---|---|
| | • თუ კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვისას მსესხებელს კრედიტის თანხის გარდა გააჩნია ბანკის წინაშე შეუსრულებელი სხვა ფულადი ვალდებულებები (მაგ. მომსახურების საკომისიო, პირგასამტეხლო და სხვა), ვადაზე ადრე დაფარვა განხორციელდება მას შემდეგ რაც მსესხებელი სრულად დაფარავს პირგასამტეხლოს ან/და მომსახურების საკომისიოს (მათ შორის დარიცხული ვადაგადაცილებული დღეების შესაბამისად) თანხებს. |
| **1.3. ლიბერთი ექსპრეს მინი 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის მოქმედების ვადით** | |
| კრედიტის თანხა (ძირი) და ვალუტა: | • 100 ლარი;<br>• 150 ლარი;<br>• 200 ლარი;<br>• 250 ლარი;<br>• 300 ლარი. |
| კრედიტის მოქმედების ვადა: | 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე |
| კრედიტის დაფარვის / გადახდის პირობა: | კრედიტის თანხის და მასთან დაკავშირებული გადასახდელების გადახდა ხდება კრედიტის თანხის გაცემიდან ყოველ მე-10 (მეათე) კალენდარულ დღეს თანაბარწილად (სულ კრედიტის მოქმედების ვადაში 3 (სამი) გადახდა) |
| კრედიტის მომსახურების ადმინისტრაციული საკომისიო: | • კრედიტის სარგებლობის ყოველი მე-10 (ათი) დღისთვის დასაფარი კრედიტის საწყისი ძირი თანხის 1.284%<br>** საკომისიო გადახდილი უნდა იქნას კრედიტის თანხის გადახდასთან ერთად;*<br>**კრედიტის თანხის ვადამდე დაფარვის შემთხვევაში საკომისიოს დარიცხვა განხორციელდება კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად.* |
| ყოველდღიური პირგასამტეხლო ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევისათვის: | კრედიტის მთლიანი ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%, ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე |
| კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტეხლო: | • მსესხებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ვადამდე სრულად დაფაროს კრედიტი და მასთან დაკავშირებული გადასახდელები. კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვისათვის საკომისიო/პირგასამტეხლო გათვალისწინებული არ არის;<br>• თუ კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვისას მსესხებელს კრედიტის თანხის გარდა გააჩნია ბანკის წინაშე შეუსრულებელი სხვა ფულადი ვალდებულებები (მაგ. მომსახურების საკომისიო, პირგასამტეხლო და სხვა), ვადაზე ადრე დაფარვა განხორციელდება მას შემდეგ რაც მსესხებელი სრულად დაფარავს პირგასამტეხლოს ან/და მომსახურების საკომისიოს (მათ შორის დარიცხული ვადაგადაცილებული დღეების შესაბამისად) თანხებს. |
| **2. სწრაფი სამომხმარებლო კრედიტი „ლიბერთი ექსპრეს პლიუსი“[4] (LX+)** | |
| კრედიტის თანხა (ძირი) და ვალუტა: | 300 ლარიდან 6 000 ლარის ჩათვლით (50-ის ჯერადი ოდენობა) |
| კრედიტის მოქმედების ვადა: | 3-დან 36 კალენდარულ თვემდე |
| კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი: | დამოკიდებული კრედიტის მოქმედების ვადაზე, კლიენტის პროფაილზე და განისაზღვრება 46,5%-დან 68%-მდე |
| კრედიტის დაფარვის პირობა: | ანუიტეტური, განისაზღვრება გრაფიკის შესაბამისად |
| კრედიტის პროლონგირება ან თანხის ზრდა: | კრედიტის პროლონგირება და თანხის ზრდა დასაშვებია ბანკის გადაწყვეტილების საფუძველზე |
| კრედიტის გაცემის საკომისიო: | • კრედიტის თანხის 2%<br>**საკომისიო გადახდილი უნდა იქნას კრედიტის თანხის გაცემისთანავე;* |
| კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტეხლო: | • კრედიტის ვადაზე ადრე დაფარული ძირითადი თანხის 2.00%-ამდე, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;<br>• თუ კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვისას მსესხებელს კრედიტის თანხის გარდა გააჩნია ბანკის წინაშე შეუსრულებელი სხვა ფულადი ვალდებულებები (მაგ. მომსახურების საკომისიო, პირგასამტეხლო და სხვა), ვადაზე ადრე დაფარვა განხორციელდება მას შემდეგ რაც მსესხებელი სრულად დაფარავს პირგასამტეხლოს ან/და მომსახურების საკომისიოს (მათ შორის დარიცხული ვადაგადაცილებული დღეების შესაბამისად) თანხებს. |
| კრედიტის ვადაგადაცილების ყოველდღიური პირგასამტეხლო: | კრედიტის მთლიანი ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27% |
| **3. ოვერდრაფტი** | |
| ოვერდრაფტის მოქმედების ვადა | 12 (თორმეტი) კალენდარული თვე |
| ოვერდრაფტის პროლონგირება | ოვერდრაფტის პროლონგირება დასაშვებია ბანკის გადაწყვეტილების საფუძველზე |
| ოვერდრაფტის წლიური საპროცენტო განაკვეთი | ინდივიდუალურად |
| ოვერდრაფტის გააქტიურების/დამტკიცების საკომისიო | გათვალისწინებული არ არის / 0.00 |
| მომსახურების ყოველთვიური ადმინისტრაციული საკომისიო | 1.00 ლარი თვეში[5] |
| ოვერდრაფტის ხელახალი გააქტიურების საკომისიო | გათვალისწინებული არ არის / 0.00 |
| ოვერდრაფტის ვადაგადაცილების ერთჯერადი პირგასამტეხლო | გათვალისწინებული არ არის / 0.00 |
| ოვერდრაფტის ვადაგადაცილების ყოველდღიური პირგასამტეხლო | ოვერდრაფტის ვადაგადაცილებაში გასვლის თარიღიდან, გადასახდელი საპროცენტო სარგებლის 0.27%, ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე |
| ოვერლიმიტის ყოველდღიური პირგასამტეხლო | არასანქცირებული ნაშთის 0.13%, ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე |
| **4. საგანგებო ავანსი** | |
| საგანგებო ავანსის ვალუტა | ლარი |
| საგანგებო ავანსის წლიური საპროცენტო განაკვეთი | • 34.00%<br>• პროდუქტის პოპულარიზაციის მიზნით, ბანკი იტოვებს უფლებას მსესხებლის თანხმობის საფუძველზე შესთავაზოს მას (მსესხებელს) საგანგებო ავანსით სარგებლობა განსხვავებული წლიური საპროცენტო განაკვეთით, მათ შორის აღნიშნული საპროცენტო განაკვეთის გარეშე[6] |
| საგანგებო ავანსის გააქტიურების საკომისიო: | • საგანგებო ავანსის მოცულობის 2.00% |

| | |
|---|---|
| | • პროდუქტის პოპულარიზაციის მიზნით, ბანკი იტოვებს უფლებას მსესხებლის თანხმობის საფუძველზე შესთავაზოს მას (მსესხებელს) საგანგებო ავანსით სარგებლობა განსხვავებული გააქტიურების ერთჯერადი საკომისიოთი, მათ შორის აღნიშნული საკომისიოს გადახდის გარეშე[7] |
| საგანგებო ავანსის მოქმედების ვადა | საგანგებო ავანსის გააქტიურებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღე[6] |
| საგანგებო ავანსის ვადაგადაცილების ყოველდღიური პირგასამტეხლო | ვადაგადაცილებული საგანგებო ავანსის ძირითადი თანხის 0.27%, ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე |

[1] წინამდებარე დანართში მოცემული ტარიფები და პირობები ოფციურია და მისი გამოყენება დამოკიდებულია ბანკის ნებაზე. კონკრეტული კრედიტით სარგებლობისას ამა თუ იმ პირობის არსებობა ან არ არსებობა დგინდება განაცხადით, თუ თავად წინამდებარე პირობებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

[2] განაცხადის წარდგენისას, თუ მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა ან საკრედიტო ისტორია არ შეესაბამება, ლიბერთი ექსპრესს კრედიტის მიღების მიზნით, ბანკის მიერ განსაზღვრულ შიდა კრიტერიუმებს, ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს კრედიტის გაცემაზე.

[3] 2017 წლის 16 იანვრამდე გაცემული 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის მქონე ლიბერთი ექსპრესების მოქმედების ვადა, იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი არ განახორციელებს კრედიტის სრულად დაფარვას, მიუხედავად განაცხადში მითითებული ვადიანობისა, შეადგენს 12 (თორმეტი) კალენდარულ თვეს (ვადის ათვლის პრინციპი განსაზღვრულია წინამდებარე დანართის 1.2. პუნქტით) და აღნიშნულ კრედიტებზე ავტომატურად ვრცელდება წინამდებარე დანართის 1.2. პუნქტით განსაზღვრული პირობები (ტარიფები).

[4] განაცხადის წარდგენისას თუ მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა ან საკრედიტო ისტორია არ შეესაბამება, ლიბერთი ექსპრეს პლუსის კრედიტის მიღების მიზნით, ბანკის მიერ განსაზღვრულ შიდა კრიტერიუმებს, ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს კრედიტის გაცემაზე.

[5] ზოგ შემთხვევაში ბანკმა კონკრეტული მსესხებლისათვის შეიძლება დაადგინოს სტანდარტულისაგან განსხვავებული ოვერდრაფტის მომსახურების ყოველთვიური ადმინისტრაციული საკომისიო - საკომისიოს ზუსტი ოდენობა აისახება ბანკომატის ეკრანზე, რასაც მსესხებელი ეთანხმება ოვერდრაფტის გააქტიურების პროცესში.

[6] საგანგებო ავანსის წლიური საპროცენტო განაკვეთის მოცულობა დგინდება ბანკის მიერ ინდივიდუალურად ყოველი მსესხებლისათვის - წლიური საპროცენტო განაკვეთის ზუსტი ოდენობა აისახება ბანკომატის ეკრანზე, რასაც მსესხებელი ეთანხმება საგანგებო ავანსის გააქტიურების პროცესში.

[7] საგანგებო ავანსის გააქტიურების საკომისიოს მოცულობა დგინდება ბანკის მიერ ინდივიდუალურად ყოველი მსესხებლისათვის - საკომისიოს ზუსტი ოდენობა აისახება ბანკომატის ეკრანზე, რასაც მსესხებელი ეთანხმება საგანგებო ავანსის გააქტიურების პროცესში.

[8] განაცხადის დაკმაყოფილების და კრედიტის დამტკიცების შემთხვევაში, ლიბერთი ექსპრესი და ლიბერთი ექსპრესი მინის ხელზე მისაღები თანხა (ფინანსური ხარჯების გათვალისწინებით) უდრის განაცხადში მითითებულ კრედიტის თანხას, ხოლო ლიბერთი ექსპრეს პლუსის შემთხვევაში ხელზე მისაღები თანხა (ფინანსური ხარჯების გათვალისწინებით) შეადგენს, განაცხადში მითითებულ კრედიტის თანხასა და გაცემის საკომისიოს (2%) შორის სხვაობას.

**№2 დანართი - ინფორმაციის მოპოვება/გადაცემა მესამე პირებისგან/პირებისათვის**

| | | |
|---|---|---|
| 1. | **ბანკი** მკაცრად იცავს **მსესხებლის** შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, კონფიდენციალურობას, თუმცა ჩვენ (ბანკი) უფლებამოსილი ვართ მოვახდინოთ მისი ქვემოთმოცემული მესამე პირ(ებ)ისათვის (შემდგომში - მესამე პირები) გამჟღავნება ან ამავე მესამე პირ(ებ)ისგან თქვენ შესახებ არსებული ინფორმაციის მოპოვება თუ (ა) ეს აუცილებელია მომსახურების ჯეროვნად შესრულებისათვის, (ბ) განსაზღვრულია კანონმდებლობით ან/და (გ) ემსახურება **ბანკის** ლეგიტიმურ კომერციულ მიზანს: | მონაცემების გადაცემა ან მოპოვება ხორციელდება: |
| | • **ბანკის** პარტნიორი კომპანიები, რომელთან ერთადაც **ბანკი** კომერციული კუთხით თანამშრომლობს, მათ შორის და არამარტო:<br>- ”იმანი ჯორჯია” (ს/კ 202376026);<br>- შპს ”იმანი” (ს/კ 204557540);<br>- სს „იკაპიტალი“ (ს/კ 404981338);<br>- შპს „მანი მუვერს“ (ს/კ 200274318); | • მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით;<br>• **მსესხებლებისათვის** (ანუ თქვენთვის) ბანკისა ან/და მესამე პირის მიერ მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით;<br>• **კანონმდებლობით** განსაზღვრული მიზნით (მაგალითად **მსესხებლის** იდენტიფიკაცია);<br>• სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან. |
| | • საზედამხედველო, მაკონტროლებელ ან/და სარეგისტრაციო ორგანოებს, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და მათ მიერ შექმნილ იურიდიულ პირებს, როგორიცაა, მათ შორის და არამარტო:<br>- საქართველოს ეროვნული ბანკი;<br>- სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური;<br>- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;<br>- სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;<br>- სსიპ შემოსავლების სამსახური და სხვა საგადასახადო ორგანოები;<br>- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო;<br>- სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო; | • მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით;<br>• **კანონმდებლობით** განსაზღვრული მიზნით (მაგალითად **მსესხებლის** იდენტიფიკაცია);<br>• სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან. |
| | • საკრედიტო საინფორმაციო ბიუროებს ან/და კოლექტორულ ორგანიზაციებს, როგორიცაა, მათ შორის და არამარტო:<br>- სს „კრედიტინფო საქართველოსთან” (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740) ან/და სხვა მსგავსი საქმიანობის მქონე სუბიექტი;<br>- შპს „პრობლემური აქტივების მართვის სააგენტო“ (ს/კ 402008554), შპს „კაპიტალი“ (ს/კ 405094491) და სხვადასხვა პრობლემური აქტივების მართვის და კოლექტორული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პრობლემური მოთხოვნებიდან გამომდინარე გადახდების შესრულებას ან/და აღნიშნული პრობლემური მოთხოვნების შეძენას (ცესია). | • მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით;<br>• **მსესხებლებისათვის** (ანუ თქვენთვის) ბანკისა ან/და მესამე პირის მიერ მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით;<br>• **კანონმდებლობით** განსაზღვრული მიზნით (მაგალითად **მსესხებლის** იდენტიფიკაცია);<br>• სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან. |
| | • საერთაშორისო და ადგილობრივ საგადახდო მომსახურების ოპერატორებს, როგორიცაა, მათ შორის და არამარტო:<br>- საერთაშორისო საგადახდო სისტემის ოპერატორი VISA Inc;<br>- საერთაშორისო საგადახდო სისტემის ოპერატორი MASTERCARD Incorporated;<br>- საერთაშორისო საგადახდო სისტემის ოპერატორი UnionPay;<br>- H2H (პირდაპირი ჰოსტინგი, როდესაც საგადახდო პროვაიდერებს შორის ანგარიშსწორება ან ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების მონაწილეობის გარეშე) მონაწილე საპროცესინგო კომპანიები ან/და კომერციული ბანკები (მაგ. UFC, სს „თიბისი ბანკი“ და UFC-ში მონაწილე სხვა კომერციული ბანკები, სს „პროკრედიტ ბანკი“, სს „**ბანკი** ქართუ“ და სხვა);<br>- საგადახდო მომსახურების პროვაიდერები (გარდა კომერციული ბანკებისა, მაგალითად სს „ნოვა ტექნოლოჯი“, შპს „თიბისი ფეი“, შპს „მანი მუვერს“ და სხვა) ან/და მათი კონტრაქტორები (აღნიშნული პირები იყენებენ საგადახდო მომსახურების პროვაიდერების სერვისს და ამ სერვისის შესრულება ხორციელდება **ბანკის** მონაწილეობით, ესენია მაგალითად სს „თელასი“, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ და სხვა);<br>- საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების ოპერატორები (მათ შორის და არამარტო The Western Union Company, MoneyGram International Inc., Zolotaya Korona და სხვა პირები, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია **ბანკის** ვებ-გვერდზე - http://libertybank.ge). | • მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით (მათ შორის საგადახდო ოპერაციების განსახორციელებლად);<br>• **კანონმდებლობით** განსაზღვრული მიზნით (მაგალითად **მსესხებლის** იდენტიფიკაცია);<br>• სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან. |

<table>
<tr>
<td></td>
<td>• ბანკის კონტრაქტორები ან/და კორპორატიული კლიენტები, რომლებიც იყენებენ ბანკის საგადახდო მომსახურებას საკუთარი კლიენტების (აბონენტების) გადასახდელების მისაღებად (ე.წ. ბილინგი), მათ შორის და არამარტო:<br>- სს „თელასი“;<br>- შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“;<br>- შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ და სხვა პირები, რომლებიც მითითებულნი არიან ბანკის ადმინისტრირებად საგადახდო ვებ-გვერდზე - http://pay.ge.</td>
<td>• მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით (მათ შორის საგადახდო ოპერაციების განსახორციელებლად);<br>• მსესხებლებისათვის (ანუ თქვენთვის) ბანკისა ან/და მესამე პირის მიერ მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით;<br>• კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნით (მაგალითად მსესხებლის იდენტიფიკაცია);<br>• სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან.</td>
</tr>
<tr>
<td>2.</td>
<td colspan="2">იმ შემთხვევაში თუ ბანკი განახორციელებს მონაცემების მესამე პირებისათვის გადაცემას, მათ შორის ინფორმაციის სხვა ქვეყნის რეზიდენტი პირ(ებ)ისათვის გადაცემას, აღნიშნული ქმედების შესრულებისას მიღებული იქნება უსაფრთხოების ყველა ის გონივრული ზომა, რაც შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან.</td>
</tr>
<tr>
<td></td>
<td colspan="2"></td>
</tr>
<tr>
<td>3.</td>
<td colspan="2">მსესხებლისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ აღნიშნულ დანართში და ბანკის ადმინისტრირებად ვებ-გვერდებზე (მათ შორის და არამარტო http://libertybank.ge; http://pay.ge) მოცემული ჩამონათვალი არ არის სრული, ამომწურავი და დროდადრო მესამე პირების რაოდენობა შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს, თუმცა მიუხედავად ამისა მონაცემების დამუშავების კუთხით ბანკის ქმედებები შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.</td>
</tr>
</table>